გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 63
(11 520)

14 – 16 აგვისტო, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალი

3


სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ესტრი კლოტე (სამხრეთ აფრიკა)

## მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში



ვაჟთა შორის 4X100 ესტაფეტაში გამარჯვებული აშშ-ის გუნდი

## აშკარა პროგრესი

ფიტამ (მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) აგვისტოსათვის გამოაქვეყნა სრული სარეიტინგო სია, რომელშიც დაბეჭდილია მსოფლიოს 251 ქალისა და 33 ნაკრები გუნდის შედეგები. სასიხარულოა, რომ მასში ვხვდებით ბათუმელ გამოცდილ მშვილდოსნის ხაფუნა ფუტკარაძის გვარს, რომელსაც უკავია მე-11 ადგილი – 107.000 ქულა სანკტ-პეტერბურგში (25-28 ივლისი) „გრან პრის" მესამე, დასკვნითი ტურის შემდეგ ალსანიშნავია, რომ ანტალიაში (20-23 ივნისი) მეორე ტურის შემდეგ, მას მე-18 ადგილი ეკავა. 251 ქალს შორის მე-11 ადგილი თვალსაჩინო მიღწევაა!

როგორ გამოიყურებიან ის ქართველი ქალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საზღვარგარეთ ასპარეზობენ?

ცნობილი მშვილდოსანი ნატო ნასარიძე (თურქეთი, 86.600) ქულით მე-19 ადგილზეა, ხოლო ხათუნა ქვრივიშვილი, რომელიც აშშ-ს სახელით გამოდის, 46-ე პოზიციაზეა – 52.825.

დარჩა ჩასატარებელი სეზონის მთავარი შეჯიბრება – მსოფლიოს 41 ჩემპიონატი. როგორც ცნობილია, ეს ასპარეზობა გაიმართება 14-20 სექტემბერს პეკინში. მანამდე კი ცხრილს სათავეში უდგანან ანა კარასიოვა (ბელორუსი, 144.320), ნატალია ვალეევა (იტალია, 142.200) და კიმ ზოო ნიუნგი (სამხრეთ კორეა) – 142.000.

აჭარელი სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისათვის. საქართველოს ნაკრები, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია ბათუმელებისაგან, რეიტინგში მე-14 პოზიციაზე არიან 33 გუნდს შორის – 95,80, ხოლო ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: 1. სამხრეთ კორეა – 315.00, 2. უკრაინა – 264.60, 3. გერმანია – 234.00.

დაველოდოთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინიშს და ჩვენ ხელთ გვექნება როგორც პირად, ისევე გუნდურ ჩათვლაში 2001 წლის საბოლოო შედეგები.

რუბენ კაცობაშვილი,
„ლელოს" საზოგადოებრივი კონსულტანტი.

## ვახტანგ ნაცვლიშვილი ნაცნობ კლუბს უბრუნდება

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი თავის ძველ უცხოურ კლუბს, პორტუგალიის ჩემპიონატის ახლანდელ მეორე პრიზიორს „ოლივერანესს" დაუბრუნდა, სადაც ის 1997-98 წლებში თამაშობდა, შემდეგ გამოდიოდა ისრაელში, ბოლოს-ბათუმის „ბასკოში". გახსოვთ ალბათ, ადრე ამერიკაშიც უთამაშია.

ნაცნობ კლუბთან ახალი კონტრაქტი ერთწლიანია. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა კი ამ პროფესიონალ კალათბურთელზე კვლავ დიდ იმედებს ამყარებს.

„გუმათი"

## ყოჩაღ, ბოლნისელებო! კარგი მაგალითი იმათთვის, ვინც ყველაფერზე წუწუნებს და საკუთარ ინერტულობას ათასი მიზეზით ამართლებს...

3

## ინგლისის სუპერთასს „ლივერპული" დაეუფლა

6


მაკალისტერი (მარცხნივ) და ოუენი მოპოვებული თასით

## სერგო კოტრიკაძე 65 წლისაა!



7

## თარიღი:

45 წლის წინათ, 1956 წლის 16 აგვისტოს, მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალური მატჩი საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მოსკოველებმა – 2-1.



ბორუსია (მიონხენგლადბახი) – შალკე-04

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

6

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### პელეს პარაგვაის ნაკრების ეშინია

ბრაზილიელთა ხვალინდელ (მატჩი 15 აგვისტოსაა) მეტოქეზე პელე მაღალი აზრისაა და უფრთხის კიდეც მას. — „პარაგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სერხიო მარქარიანმა ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა. გამოვყოფდი როკე სანტა კრუზსა და ფრანსისკო არსეს. ერთი სიტყვით, პარაგვაი პანამა არ არის და ჩემს თანამემამულეებს მძიმე მატჩი ელით", — განაცხადა ფეხბურთის მეფემ.

### ვერონი კლუბს ღალატობს?

„მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა შეიძლება გამოტოვოს ინგლისის ჩემპიონატის პირველი მატჩი „ფულჰემთან", მიზეზი ეროვნულ ნაკრებში შეყოვნებაა, რის გამოც მანჩესტერელთა ახალწვეულმა ინგლისის სუპერთასზე ერთი მატჩი უკვე გამოტოვა. „მეეჭვება, შეძლებს თუ არა ვერონი აღიდგინოს თავის კონდიცია „ფულჰემთან" მატჩისთვის. ამასთან, იმედი მაქვს, ეს მაინც მოხდება" — ამბობს „წითელი ეშმაკუნების" მთავარი მწვრთნელი.

### კელერი „ტოტენჰემში" ითამაშებს

ინგლისის ამ კლუბმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ამერიკის ნაკრების წევრსა და „რაიო ვალეკანოს" მეკარესთან კეისი კელერთან. იმავდროულად კელერი მოლაპარაკებას (იგი თავისუფალი აგენტია) აწარმოებდა თურქეთის „ბეშიქთაშთან", მაგრამ ვერ შეთანხმდნენ და 31 წლის ფეხბურთელი უცებ ტოტენჰემში აღმოჩნდა.

### უეფამ შვედები დასაჯა

გუშინ, საღამოს, უეფამ შვეციის „ელფსბორგს" ჩამოართვა ესტონეთის „ტრანსთან" უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩის პირველ რაუნდში სტუმრად მიღწეული გამარჯვება 3-1. მიზეზი: კრისტიან ლუნდსტრემი, რომელმაც მატჩის 86 წუთი ითამაშა, შვედებს განაცხადში გამორჩენიათ. ესტონელებს 3-0 ტექნიკური მოგება ჩაეთვალა.



გუშინ, ესპანელმა ველომრბოლმა უნაი იუსმა (სურათზე) მოიგო „ტურ პორტუგალიის" მე-12 ეტაპი.

## სტიქიამ საფეხბურთო მინდორი ჯოჯოხეთად აქცია

ორი მოთამაშე დაიღუპა, ათმა მიიღო ძლიერი დამწვრობა ელვის საფეხბურთო მინდორზე დაცემის გამო გვატემალაში, ქალაქ ჩიკიმულილში, სადაც გასულ შაბათს მატჩი ტარდებოდა მესამე პროფესიული დივიზიონების გუნდებს შორის. მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, როცა სტადიონზე გაისმა ქუხილი. მალე მას შემდეგ, რაც მსაჯებმა გადაწყვიტეს თამაშის განახლება, ელვის ტალღა დაეცა მაყურებლისგან მინდორის გამოყოფის დამცავ ღობეს და ყველა მიწაზე მდგომი ერთბაშად მოცელა. ტრიბუნებზე არავინ დაშავებულა. როგორც იუწყებიან, ელვამ შეკრა ელექტრონული წრე და მიწამ წამებში, როგორც ელექტრობის გამტარმა, დამწვრობა მიაყენა ყველა ფეხბურთელს და მსაჯებს.

ადგილზე დაიღუპა 16 წლის როსბინ იუმანი და 24 წლის ლესტერ მარიკუინი. ათი მოთამაშე კი ძლიერი დამწვრობით მოათავსეს კლინიკაში.

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 182 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## საქართველოში გასაგონად!..

### კასიანოვი შეხვდა რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტს

რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი შეხვდა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს მიხაილ კასიანოვს სოჭში, სადაც ის ისვენებს. კასიანოვმა სპეციალურად მიიწვია თავის აგარაკზე ტიაგაჩევი ერთი დღით, რათა განეხილათ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ნაკრების მზადების საკითხები.

როგორც ამ შეხვედრის შემდეგ ტიაგაჩევმა ჟურნალისტებს უთხრა, კასიანოვი დაპირდა, რომ მთავრობა ყოველ მხრივ მხარდაჭერას აღმოუჩენს ნაკრებს. ამასთან, ლაპარაკი იყო რუსეთში ოლიმპიური მოძრაობისა და სოჭის მიმდებარე „კრასნაია პოლიანაში" სპორტისა და ტურიზმის განვითარებაზე.

### პუტინს ლუჟკოვი ძიუდოს ახალ „გრან-პრის" სჩუქნის

უკვე ყველამ, მთელ მსოფლიოში კარგად იცის, რომ რუსეთის პრეზიდენტი „სპორტული კაცია" და ყველაფერს აკეთებს, რომ თავისი ქვეყნის სახელის სპორტით განდიდების უნიკალური შესაძლებლობის არც ერთი მომენტი ხელიდან არ გაუშვას. ეს კარგად იციან ქვეყნის ჩინოვნიკებმა და მათ ინიციატივას, როგორც იტყვიან, ბოლო არ უჩანს. აგერ, სოჭში, მთავრობის მეთაურმა, რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტს უხმო სპორტზე სალაპარაკოდ. მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა კი ძიუდოში „გრან-პრის" ჩატარებას ჩაუყარა საფუძველი და პირველ ტურნირზე მოსკოვში მიიწვია არა მხოლოდ მსოფლიოს რჩეული სპორტსმენები, არამედ მონაკოს პრინცი ალბერტი, ავტომრბოლი მიხაელ შუმახერი, ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, სხვა ცნობილი ადამიანები. ახალი „გრან-პრის" საპრიზო ფონდი 100 ათასი აშშ დოლარია. მონაწილეებისთვის და სტუმრებისთვის გაიმართება დიდი საზეიმო კონცერტი.

ტურნირი მოსკოვში გუშინ დაიწყო.

## ჭიათურა სპორტულ იმიჯს იბრუნებს

ჭიათურის სპორტული კომპლექსი კომუნისტთა მმართველობის დროინდელი სახსოვარია. თუ სადმე გაუფრთხილდნენ და სპორტული ბაზები ძველ გადმონაშთად არ შერაცხეს, ეს ჭიათურელებზეც ითქმის. მშრომელთა, კერძოდ, მაღაროელთა დანაზოგით და სახელით გაშენებული სპორტული ობიექტები, თავის დროზე მაღაროელთა ქალაქის მშვენებად იქცა. რაც მთავარია, წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციას. ქალაქში და მის ახლომდებარე სოფლების ახალგაზრდობას, განსაკუთრებით მოზარდებს, მაშინ პირველად მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ და ზიარებოდნენ კიდეც აქაურთათვის სპორტის მანამდე უცნობ სახეობებს. განსაკუთრებული ენთუზიაზმი ცურვამ გამოიწვია. მდინარე ყვირილა იქაურებისთვის „მკვდარი მდინარე" იყო, ვინაიდან მანგანუმს რეცხავდნენ და შორაპნამდე შავი მოედინებოდა, იქ ერთვოდა ძირულა-ჩხერიმელას ერთიან კამკამა ნაკადს და იმასაც აბინძურებდა. მოკლედ, ცურვას ბევრი მიეტანა და მაშინ ქალაქის ხელმძღვანელობამ თბილისიდან სპეციალისტებიც მიიწვია სამუშაოდ. ასე გამოჩნდნენ ჭიათურელი მოცურავეები საქართველოს პირველობებში.

ეს უკვე 10 წლის წინანდელი ისტორიაა. რაც მთავარია, ქალაქის ხელმძღვანელობამ, პირადად გამგებელმა დავით ივანიშვილმა დიდად მოიწადინა და სიცოცხლე კვლავ დაუბრუნეს კომპლექსის სპორტულ ობიექტებს. გამოჩნდა კიდევ ერთი კაცი, სპორტზე ბავშვობიდან შეყვარებული მამუკა გოგიტიშვილი, რომელიც საგადასახადო ინსპექციის უფროსად მუშაობს. ისიც, რაც შეეძლო მხარში დაუდგა ენთუზიასტებს. ადგილობრივი სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე ლევან გაფრინდაშვილი) მონდომებაზე, სპორტული ცხოვრების გამოცოცხლებაში სპორტის სხვა მუშაკთა წვლილზე აღარაფერს ვამბობთ.

ჭიათურის სპორტული კომპლექსი საფეხბურთო სტადიონის გარდა მოიცავს მძლეოსნურ ბილიკებს და სექტორებს, 25 მეტრიან საცურაო აუზს საჭყუმპალაოთი, სპორტული თამაშების, და ჭიდაობის დარბაზებს. აქ უკვე ამუშავდა საუნა, საშხაპეებში მუდმივად აქვთ ცხელი წყალი.

**რედაქციის სტუმარია სპორტკომპლექსის დირექტორი ზურაბ ჩაფიძე.**



**ზურაბ ჩაფიძე:**

***არის*** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტი.

***სპორტის*** ოსტატია ძიუდოში, იყო საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, „შრომითი რეზერვების" არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი.

***ამჟამად*** მუშაობს ჭიათურის სპორტკომპლექსის დირექტორად, პარალელურად — მწვრთნელად.

● ***ბატონო ზურაბ, ხომ არაფერი გამოგვრჩა, რედაქციას რა ინფორმაციაც აქვს, გითხარით, გვეთანხმებით?***

— დიახ, ყველაფერი სწორია. მინდა დავამატო, რომ კომპლექსს თავისი 60-ადგილიანი სასტუმროც გააჩნია. იქაც მუშაობს საშხაპეები ცხელი წყლით. ასე რომ, შეგვიძლია სტუმარი სპორტსმენები კარგადაც დავაბინავოთ. მომავლისთვის ვგეგმავთ სხვადასხვა ამხანაგურ შეჯიბრებას. ისე, ჩვენთან ხშირად იმართება როგორც ადგილობრივი, ისე იმერეთის რეგიონის შეჯიბრებები.

● ***საინტერესოა, მაინც როგორ მოხერხდა სპორტული ობიექტების შეკეთება-ამუშავება?***

— 1987 წლიდან, ბაზების შეკეთებაზე არაფერი დახარჯულა. მერე, როცა ქალაქს შემოსავლები გაუჩნდა, ცხადია, სპორტული კომპლექსის მიხედვის დროც დადგა. შიდა სამუშაოები მალე დასრულდა. ძიუდოს დარბაზი, მაგალითად, თავად ენთუზიასტებმა შეაკეთეს.

● ***თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ კომპლექსი პრივატიზებული არ არის...***

— არა, ის ქალაქის მერიის ბალანსზე ირიცხება.

● ***რამდენადაცვიცით, ადრე მაღაროელთა ბალანსზე იყო.***

— 1997 წლამდე ჭიათურის მანგანუმის ტრესტი იყო მისი ტრადიციული მეპატრონე. შემდეგ ქალაქის მერიას გადაეცა.

● ***სპორტის რომელ სახეობებში აღდგა მეცადინეობები?***

— ფეხბურთის სექციებს არასდროს შეუწყვეტია საქმიანობა, ყველაზე მეტი მოზარდი სწორედ სპორტის ამ სახეობაშია ჩაბმული. იგივე ითქმის ძიუდოზე, სხვა სახეობებზეც, რომლებიც, ასე თუ ისე, ახერხებდნენ თავის გატანას. ახლა ყველაფერი მოწესრიგდა, გამოირიცხა ხელშემშლელი მიზეზები. და მალე იხილავთ საქართველოს პირველობებში მონაწილე ძალოსნებს, მოცურავეებს, ნაყოფიერად მუშაობენ ძიუდოს, კალათბურთის, კრივის, კარატეს სექციები.

● ***პრიორიტეტულ სახეობებად რას მიიჩნევთ?***

— ფეხბურთს, ჭიდაობას და კრივს.

● ***ფეხბურთი ახსენეთ, დიდი ხანია არ ჩანან ჭიათურელები საქართველოს პირველობაზე...***

— აღდგება, ფეხბურთიც აღდგება. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ჩვენები ჯერ რეგიონლიგაში გამოვლენ. ახლა ისინი შეკრებაზე არიან ჩვენს კომპლექსზე.

● ***სპონსორები თუ გყავთ, ფეხბურთს, როგორც იტყვიან, დიდი მუცელი აქვს...***

— კლუბს ჰყავს დამფუძნებლები და, იმედია, მათი ვალდებულებები ქაღალდზე არ დარჩება.

● ***პირადად თქვენ ისევ ძიუდოისტებს ამზადებთ?***

— დიახ, ჩემს ყოფილ შეგირდთან ბექან ყაველაშვილთან ერთად.

● ***წარმატებას გისურვებთ!***

— დიდი მადლობა!

ესაუბრა

თ. თომაშვილი

## SOS

## წყალზე უბედურ შემთხვევებს ნუ წავუყრუებთ!

წლევანდელი ზაფხულის დადგომამდე „ლელომ" და სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციამ რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა ცურვის მასობრივი შესწავლისა და წყალზე უბედური შემთხვევების ალკვეთას. ვიმედოვნებდით, რომ ვისაც ეს ეხებოდა, გულთან ახლოს მიიტანდა პრობლემის სიმწავავეს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ერთადერთი საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერეა", სადაც ტრადიციას არ ღალატობენ და ზაფხულში ფართოდ უხსნიან კომპლექსის კარს სხვადასხვა ასაკის ცურვის მოყვარულებს, აქ მათი უსაფრთხოებაც გარანტირებულია. ცურვის შესწავლის თუ გამაჯანსაღებელი ცურვის მოყვარულებს დასვენების პირობებსაც უქმნიან. კვლავ დაუცველია თბილისის ზღვა, კუს და ლისის ტბები, საერთოდ, ქვეყანაში წყალსაცავები, საგუბრები, ზღვის ნაპირი წყალზე უბედური შემთხვევებისგან. გამონაკლისი, სავალალოდ, წლეულსაც არ ყოფილა. არაერთი ადამიანის, მათ შორის მოზარდის სიცოცხლე შეიწირა ცურვის უცოდინარობამ თუ ცურვის წესების დაუცველობამ. ღია წყლებზე, ადრე საბჭოთა პერიოდში ღრმა ადგილებიც მინიშნებული იყო, გამოყოფილი იყო სახიფათო ზონები, მუშაობდნენ სამაშველო სამსახურები, საკმაო იყო მოტორიანი ნავები, მაშველები, ინსტრუქტორები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტები.

უბედური შემთხვევები ადრეც ხდებოდა, მაგრამ მათი რიცხვი მინიმუმამდე იყო დაყვანილი, თუმცა ყველა კონკრეტული შემთხვევისთვის პასუხს მკაცრად აგებდნენ დამნაშავენი, თუნდაც გულგრილობისთვის.

საუბედუროდ, ახლა საცურაო აუზებზეც არაა ჯეროვანი წესრიგი. აგერ, ამ დღეებში, კრწანისის რაიონის საცურაო აუზში ბავშვი დაიხრჩო – მოხდა კიდევ ერთი უბედურება.

რაღაც არ გვსმენია, თუნდაც თბილისში (დედაქალაქი ხომ მაგალითის მიმცემი უნდა იყოს), ვინმეს, სადმე, რომელიმე დონეზე ემსჯელოს და ზაფხულში, წყალზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები დაესახათ. უბედური შემთხვევები კი ხდება და ისე ჩაივლის, ვითომც არაფერი მომხდარა. დღეს, უბრალოდ, გულგრილობისთვისაც არავინ ისჯება, არათუ პირდაპირი დანაშაულისთვის. თავს, იცოცხლეთ, ყველა იმართლებს, ათას მიზეზს მოიშველიებს და ბოლოს იტყვის: „რა ვქნათ, ხდებაო". ხდება, ყველაფერი ხდება, მაგრამ რატომ ხდება? აი ეს არის საკითხავი.

დღეს საცურაო ადგილებს ბევრგან კერძო მეპატრონეები დაეუფლნენ. კეთილი, მაგრამ, სად არის მათი პასუხისმგებლობა?

გვეყო ამდენი ტრაგედია!

### კასპი გიხმობთ ქართული ჭიდაობის არნახულ დღესასწაულზე

17 აგვისტოს, კასპის რაიონის სოფ. მეტეხში გაიმართება ღია ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ მოწვეულია რჩეული ფალავნები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გათამაშდება... ხარი!

დასაწყისი 15 საათზე.

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით

ოლეგ იაძე

## ისან-სამგორის რაიონი სამაგალითოა

მსოფლიო ახალგაზრდობის დღეს აქტიურად გამოეხმაურნენ ისან-სამგორის რაიონში. „იროს" ახალ, კომპაქტურ სტადიონზე ჩატარდა ფეხბურთში საჩვენებელი შეხვედრა ქუჩის გუნდებს შორის ძველად ტრადიციული ჭინჭის ბურთით, ბაგირის გადაძალვაში და ფეხბურთში. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ისან-სამგორის რაიონის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარეები ბონდო მირველაშვილი და მალხაზ აბრამიშვილი). არ გაგიკვირდეთ, თბილისში სახელმწიფო სტრუქტურების რაიონების დაწყვილებით გაერთიანების შემდეგ, ორ-ორი თავმჯდომარეა რაიონის სპორტკომიტეტებში. თუ საქმეც ორჯერ წინ წავა, ჩვენც მივესალმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან რომ არ არის ასე?

მოკლედ, დედაქალაქის ზემოხსენებულ რაიონში არც ამჯერად გამოეკიდნენ ღონისძიების თავის არიდების მიზეზებს და ლამაზი, გარკვეულწილად სახალისო ღონისძიებაც ჩაატარეს. ფეხბურთში ადგილები ასე განაწილდა: 1. „ვარკეთილი", 2. „ისანი-2000", 3. „ისანი". კარგი თამაშისთვის საგანგებოდ დაჯილდოვდნენ თორნიკე მიქელაძე, გიორგი ურუშაძე და ზურაბ ურიადმყოფელი.

ბაგირის გადაძალვაში ყველას „მეტეხის" წარმომადგენლებმა აჯობეს, მეორე იყო „ისანი-2000", მესამე — „ვარკეთილი".

ღონისძიების ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით.

ც. ბაქრაძე,

ბონდო მირველაშვილის ფოტოები







მონაწილენი, ორგანიზატორები, სტუმრები

დღეს, 14 აგვისტოს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, სააქტო დარბაზში, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ჩაატარებს პრესკონფერენციას. დასაწყისი 12 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## პოდუბნის ტურნირზე

მოსკოვში დასრულდა ი. პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში "გრან-პრის" სერიით. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

**54 კგ:** 1. გ. მამედალიევი, 2. რ. ბიკინინი (ორივე — რუსეთი), 3. რ. ასემბეკოვი (ყაზახეთი);

**58 კგ:** 1. ზ. იაკუშევი (რუსეთი), 2. ნ. რაჯაბოვი (აზერბ), 3. ა. შევცოვი (რუსეთი);

**63 კგ:** 1. ნ. მონოვი, 2. ა. პარფილკინი (ორივე — რუსეთი), 3. ვ. ჟუკი (ბელარუსი);

**69 კგ:** 1. ა. გლუშკოვი, 2. მ. სემენოვი, 3. ა. კურჩინიკი (სამივე — რუსეთი);



**76 კგ:** 1. ა. ჩერეპახინი (რუსეთი), 2. ბ. ზაისეიტოვი (ყაზახ), 3. ი. ვიტი (უზბეკ);

**85 კგ:** 1. ა. მენშიკოვი (რუსეთი), 2. ვ. ცილენტი (ბელ), 3. ვ. ბელმასი (რუსეთი);

**97 კგ:** 1. გ. კოღუაშვილი, 2. ა. ბერეზრუჩკინი, 3. ს. არტიუხინი (სამივე — რუსეთი);

**130 კგ:** 1. ა. კოლესნიკოვი, 2.ფ. ტარაბარინი, 3. ი. პეტრიკეევი (სამივე — რუსეთი); საქართველოს ფალავნები ტურნირში არ მონაწილეობდნენ.

## ველორბოლა: რებელინი დაეწია არმსტრონგს... რეიტინგში

ამერიკელი ლენს ამსტრონგი და იტალიელი დავიდე რებელინი (სურათზე) ახლა პირველ ადგილს იყოფენ ველოსიპედისტთა მსოფლიო რეიტინგში თანაბარი ქულებით — 2154,00 — 2154, 00. მესამე ადგილზეა იან ულრიხი (გერმანია) — 1900, 00, შემდეგ მოდიან: ჯილბერტო სიმონი — 1819,00, ფრანჩესკო კაზაგრანდე (ორივე — იტალია) — 1818,00 ერიკ ცაბელი (გერმანია) — 1812,00, რაიმონდას რუმსასი (ლიტვა) — 1642,00, მიკელე ბარტელი (იტალია) — 1604,20, რომან ვაინშტეინი (ლატვია) — 1535,0, მეათეა — მიხაელ ბოგერდი (ჰოლანდია) 1478,00...



## კურტინაიტესი წავიდა?

ლიტვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავკაცი რიმას კურტინაიტესი 20 აგვისტოდან დატოვებს პოსტს, რის შესახებაც მან გასულ პარასკევს, დღის ბოლოს, წარუდგინა განცხადება ქვეყნის პრეზიდენტს ალგირდას ბრაზაუსკასს.

41 წლის რიმას კურტინაიტესი ახლო წარსულში საბჭოთა და ლიტვის კალათბურთის „ვარსკვლავი" და საბჭოთა ნაკრების წევრი, 1997 წლიდან ხელმძღვანელობდა ლიტვის სპორტულ მოძრაობას. ბოლო ხანებში იგი სერიოზულად დაავადდა... პოლიტიკით. როცა 1992 წელს ლიტვის პარლამენტის არჩევნებში ბრაზაუსკასის ხელმძღვანელობით შრომის დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა, კურტინაიტესმა, რომელიც იმ ხანებში საფრანგეთის ერთ-ერთ კლუბში თამაშობდა, განაცხადა: „სამარცხვინოა იყო ლიტველი" და დაიმუქრა უარს იტყოდა ლიტვის მოქალაქეობაზე, თუმცა ეს არ გაუკეთებია.

გასულ კვირაში მთავრობის თავმჯდომარემ დაიბარა კურტინაიტესი და ურჩია წასულიყო თანამდებობიდან, რადგან „თავს ვერ ართმევს საქმეს". ცხადია, ხალხის თვალში, დათხოვნას საბაბი ჭირდებოდა და, პოლიტიკური დევნის ეჭვები რომ გაეფანტათ, ათმა სპორტულმა ფედერაციამ მთავრობაში შეიტანა კურტინაიტესზე საჩივარი, სადაც მას ბრალს სდებენ „სახსრების უმართებულოდ განაწილებაში და ლიტვის სპორტის ჩამორჩენაში".

ჟურნალისტებს კურტინაიტესმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა: „ამიერიდან სათევზაოდ საკმაო დრო მექნება".

ასე რომ, ამ ინფორმაციის სათაურში ჩვენს მიერ დასმული კითხვის ნიშანი მალე მოიხსნება...

## რიგაში მიხეილ ტალის ძეგლი გაიხსნა

**რიგის პარკში, რომელიც მოჭადრაკეთა თავშეყრის საყვარელი ადგილია, გაიხსნა ჭადრაკში 1960 წლის მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ ტალის ძეგლი. გრანიტისგან და ბრინჯაოსგან შესრულებული ფიგურა დაიდგა იმ შენობის ახლოს, სადაც სიყმაწვილეში ეზიარა მიხეილ ტალი ამ უძველეს და ბრძნულ თამაშს.**

**აღსანიშნავია, რომ ხსენებული შენობაც საფუძვლიანად შეკეთდა, რომლის ფასადზე გამოიკრა ზეთში შესრულებული ტალის გრაფიკული გამოსახულება, შესასვლელში კი ცვილის ფიგურა დაიდგა.**

**ძეგლისთვის საჭირო თანხები გაიღეს მოჭადრაკის ნიჭის თაყვანისმცემლებმა და ბიზნესმენებმა. ძეგლის საზეიმო გახსნას მიეძღვნა ერთდროული სეანსი მსოფლიოს გამოჩენილი პროფესიული მოჭადრაკეების მონაწილეობით.**

**წლეულს, 9 ნოემბერს მიხეილ ტალს 65 წელი შეუსრულდებოდა.**

## თანამედროვე ხუთჭიდი



მოსკოვში დასრულდა თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიოს თასის ფინალი. ადგილები ასე განაწილდა:

***ქალები:*** 1. შ. ლიუისი (დიდი ბრიტანეთი) — 5568 ქ, 2. პაულინა ბონიში (პოლონეთი) — 5530, 3. კ. დელემერი (საფრანგეთი) — 5512;

***ვაჟები.*** 1. ე. კრუნგოლასი (ლიტვა) — 5648, 2. ა. მოისეევი (რუსეთი) — 5629, 3. ს. სალასარი (მექსიკა) — 5620.

საქართველოს სპორტსმენები (ვგულისხმობთ ვაჟებს, ქალთა თანამედროვე ხუთჭიდი ჩვენში ვერ განვითარდა) ფინალურ ეტაპზე არ მონაწილეობდნენ.

## გერმანელებმა დაადასტურეს...

გერმანიაში, ამავე ქვეყნის მხედრების ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ცხენოსნობაში. 42 წლის ქალმა ულა ზალცგებერმა, რომელიც 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია გუნდურ ჩათვლაში, ცხენის გაწვრთნაში თავისი პირველი გამარჯვება პირად პირველობაშიც მოიპოვა. მის გამოსვლას, მიუხედავად წვიმისა, 16 ათასი გულშემატკივარი თანამემამულე ადევნებდა ვერდენის იპოდრომზე თვალ-ყურს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატში ამჯერად არ გამოდიოდნენ ოლიმპიადა-2000-ის ჩემპიონები გერმანელი იზაბელ ვერტი და ჰოლანდიელი ანკე ვან გრიუნსვენი, რომლებსაც ცხენები დაუბერდათ და ახლა ახალგაზრდა მერნებს ამზადებენ. ევროპის ჩემპიონატის სამეული ცხენის გაწვრთნაში ასე გამოიყურება: 1. ულა ზალცგებერი (გერმანია) — 237,64 ქულა, 2. არენტიივისენი — 228,47, 3. ნადიმ კაპალმანი (გერმანია) — 228,38.

შეგახსენებთ, რომ ცხენოსნობაში არც მონაწილეთა ასაკს და არც სქესს მნიშვნელობა არა აქვს.

## მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

Edmonton 2001

### კანადის ქ. ედმონტონში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

**9 აგვისტო**
**ვაჟები**

***110 მ. წინაღობით:***
1. ალენ ჯონსონი (აშშ) — 13,04
2. ანერი გარსია (კუბა) — 13.07
3. დადლი დორივალი (ჰაიტი) — 13.25

***200 მ:***
1. კონსტანტინოს კედერისი (საბერძნეთი) — 20,04
2. კრისტოფერ უილიამსი (იამაიკა) — 20,20
3-4. კიმ კოლინზი (აშშ) — 20,20
3-4. შონ კროუფორდი (აშშ) — 20,20

***ჭოკი:***
1. დმიტრი მარკოვი (ავსტრალია) — 6,05
2. ალექსანდრ ავერბუხი — (ისრაელი) — 5,85
3. ნიკ ხაისონგი (აშშ) — 5,85

**ქალები**

***20 კმ სიარული:***
1. ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) — 1:27.48
2. ვალენტინა ციბულსკაია (ბელორუსია) — 1:28.49
3. ელისაბეტა პერონე (იტალია) — 1:28.56

**10 აგვისტო**
**ვაჟები**

***5000 მ:***
1. რიჩარდ ლიმო (კენია) — 13.00,77
2. ალი საიდი-სიეფი (ალჟირი) — 13.02,16
3. მილლიონ ვოლდე (ეთიოპია) — 13.03,47

***400 მ წინაღობით:***
1. ფელიქს სანჩესი (დომინიკანების რესპუბ.) — 47,49
2. ფაბრიციო მორი (იტალია) — 47,54
3. დაი ტამესუე (იაპონია) — 47,89

**ქალები**

***სამხტომი:***
1. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) — 15,25



მარკოვი (ავსტრალია) — ჭოკით ხტომაში გამარჯვებული

2. ფრანსუაზ ეტონე (კამერუნი) — 14,60
3. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) — 14,58

***200 მ:***
1. მერიონ ჯონსი (აშშ) — 22,39
3. დები ფერგიუსონი (ბაგამის კ-ბი) — 22,52
3. კელი უაიტი (აშშ) — 22,56

**11 აგვისტო**
**ქალები**

***მარათონი:***
1. ლიდია სიმონი (რუმინეთი) — 2:26.01



მერიონ ჯონსი (აშშ) — 200 მ-ზე რბენაში გამარჯვებული



20 კმ-ზე სიარულში გამარჯვებული ივანოვა (№676)



ბერძენმა კონსტანტინოს კედერისმა ოქროს მედალი მოიპოვა 200 მ რბენაში

2. რეიკო ტოსა (იაპონია) — 2:26.06
3. სვეტლანა ზახაროვა (რუსეთი) — 2:26.18

***110 მ წინაღობით:***
1. ანჯანეტი კირკლენდი (აშშ) — 12,42
2. გეილი დივერსი (აშშ) — 12,54
3. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) — 12,58

***5000 მ:***
1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) — 15.03,39
2. მარტა დომინგესი (ესპანეთი) — 15.06,59
3. აელეხი ვორკუ (ეთიოპია) — 15.10,17

***ბადრო:***
1. ნატალია სადოვა (რუსეთი) — 68,57
2. ელინა ზვერევა (ბელორუსია) — 67,10
3. ნიკოლეტა გრასუ (რუმინეთი) — 66,24

***ესტაფეტა 4X100 მ:***
1. აშშ — 41,71
2. გერმანია — 42,32
3. საფრანგეთი — 42,39

**ვაჟები**

***სიგრძეზე ხტომა***
1. ივან პედროსო (კუბა) — 8,40
2. სავანტე სტრინგფელოუ (აშშ) — 8,24
3. კარლუშ კასადუ (პორტუგალია) — 8,21

**12 აგვისტო**
**ვაჟები**

***შუბი:***
1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) — 92,80
2. აკი ჰარვიანენი (ფინეთი) — 91,31
3. კონსტადინოსი გაციუდისი (საბერძნეთი) — 89,95

***1500 მ:***
1. ჰიშამი ელ-გერუჯი (მაროკო) — 3.30,68
2. ბერნარდ ლაგატი (კენია) — 3.31,10
3. დრისი მაზუზი (საფრანგეთი) — 3.31,54

***ესტაფეტა 4X400 მ:***
1. აშშ — 2.57,54
2. ბაგამის კ-ბი — 2.58,19
3. იამაიკა — 2.58,39

***ესტაფეტა 4X100 მ:***
1. აშშ — 37,96
2. სამხ. აფრიკა — 38,47
3. ტრინიდადი და ტობაგო — 38,58



ტატიანა ლებედევა (რუსეთი) — სამხტომში გამარჯვებული

**ქალები**

***სიმაღლეზე ხტომა:***
1. ესტრი კლოტე (სამხ. აფრიკა) — :2,00
2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) — 2,00
3. კაისა ბერგვისტი (შვედეთი) — 1,97

***800 მ:***
1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 1.57,17
2. შტეფანი გრაფი (ავსტრია) — 1.57,20
3. ლეტისია ვრესდე (სურინამი) — 1.57,35

***ესტაფეტა 4X400 მ***
1. იამაიკა — 3.20,65
2. გერმანია — 3.21,97
3. რუსეთი — 3.24,92



ჩეხი იან ჟელეზნი მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი

## ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო

| | | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 9 | 5 | 5 | 19 |
| 2. | რუსეთი | 6 | 7 | 6 | 19 |
| 3. | კენია | 3 | 3 | 1 | 7 |
| 4. | კუბა | 3 | 1 | 2 | 6 |
| 5. | გერმანია | 2 | 4 | 1 | 7 |
| 6. | ეთიოპია | 2 | 2 | 4 | 8 |
| 7. | რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 8. | მაროკო | 2 | 1 | 0 | 3 |
| 9. | პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 10. | ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 11. | ბელორუსია | 1 | 3 | 0 | 4 |
| 12. | იამაიკა | 1 | 2 | 2 | 5 |
| 13. | ბაგამის კ-ბი | 1 | 2 | 0 | 3 |
| 14. | საბერძნეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 14. | იტალია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 16. | უკრაინა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 17. | სამხ. აფრიკა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 18. | ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19. | ინგლისი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 20. | დომინიკის რესპ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. | მოზამბიკი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. | სენეგალი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. | შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 24. | იაპონია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 24. | ესპანეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 26. | ფინეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 26. | შვედეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 28. | ალჟირი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. | ავსტრია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. | კამერუნი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. | ესტონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. | ისრაელი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. | ლიტვა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 34. | საფრანგეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 34. | მექსიკა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 36. | ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. | ჰაიტი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. | ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. | პორტუგალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. | სენტ-კიტსი და ნევისი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. | სურინამი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |

**როგორც ხედავთ, ჩემპიონატში მონაწილე 189 ქვეყნიდან მედალი მხოლოდ 42 ქვეყნის ათლეტებს ხვდათ. უმედლოდ დარჩენილთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო — საქართველოცაა.**



# ისტორიული გური, დაღლილი „დინამო“, განახლებული სტადიონი და ორი გამოუყენებელი პენალტი...

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

III ტურის მიმოხილვა

აი ის, რაც გამოსარჩევი ჰქონდა უმაღლესი ლიგის მესამე ტურს. სამი მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ბათუმში „დინამომ“ თბილისელი თანაკლუბელები მიიღო და ჩემპიონატების ისტორიაში შინ მეოთხედ მოუგო მუდმივ მოქიშპეს. სტუმრებს უეფასთასის მატჩმა, ალბათ ბოლო ძალები წაართვა, ახალგაზრდული გუნდი, ვერც სათანადოდ განეწყო გამოცდილ მეტოქესთან საბრძოლველად და ჩემპიონატში პირველად დამარცხდა. ბათუმელები კი ლიდერს კვალში უდგანან და მესამე საფეხურზე ადგილს მყარად ინარჩუნებენ.

ფოთელებმა მეორე შინაური მატჩიც მოიგეს, ამჯერად დაძაბულ ბრძოლაში თბილისის „ლოკომოტივი“ დაჯაბნეს.

მეორე ადგილზე მყოფმა „მერანმა“ ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია და კილასონიას გარეშე დარჩენილ „გორდას“ კვლავ აჯობა რუსთავში, „გორდამ“ ვერც ამჯერად მოიპოვა გამარჯვება და ურთიერთ შეხვედრების სტატისტიკურ გრაფაში თუნდაც ერთი მოგების ჩაწერა ისევ სამომავლოდ გადადო.

სამ ტურში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე ნათელია, რომ დებიუტანტებს უმაღლეს ლიგასთან შეგუება ჯერ უჭირთ. „გურიამ“ ვერაფერი მოუხერხა ჩემპიონს, „ტორპედო“ მაქსიმალური შედეგით ისევ ერთპიროვნული ლიდერია.

ზესტაფონში პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს დებიუტანტი „მეტალურგი“ და თბილისის „ვიტ ჯორჯია“. სტუმართა უპირატესობას ანგარიშიც კარგად ასახავს. ვეტერინარებმა გამარჯვება სამი ბურთის სხვაობით მოიპოვეს.

მიმოხილვაში ბოლოსთვის ბოლნისში გამართული მატჩი მოვიტოვეთ, რადგან იქ მომხდარი ფაქტები განსაკუთრებულ აღნიშვნას ნამდვილად იმსახურებს. უპირველესად საზეიმოდ გაიხსნა თემურ სტეფანიას სახელობის განახლებული სტადიონი (მატჩის ინსპექტორის კომენტარს ქვემოთ შემოგთავაზებთ) პირველად მოიგო წლეულს „სიონმა“ და ცხრილის ფსკერს დაშორდა.

ტურში ბევრი რამ საგულისხმო მოხდა. არც ერთი ფრე, სამი მატჩი მოიგეს მასპინძლებმა, სამი სტუმრებმა. წინა ორ ტურში ასეთი რამ არ დაფიქსირებულა, მასპინძლებს უპირობო უპირატესობა ჰქონდათ. ბოლნისელებმა ორი გოლი კი გაიტანეს, მაგრამ კიდევ ამდენივეს გატანა შეეძლოთ, პენალტები რომ გამოეყენებინათ. წლევანდელ ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვა ორმა გუნდმა და ამდენივე პირველად დამარცხდა.

ბომბარდირებში აშვეთია დაწინაურდა 4 გოლით.

ახლა კი ბოლნისური მატჩის ინსპექტორის კომენტარი.

— სფფ-ს სამსაჯო — საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. მილჩენკო:** „ბოლნისში საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი სტადიონი გაიხსნა. 3.000 ადგილიანი ტრიბუნები მთლიანად გადახურულია. როგორც წესი, ცალკეა გასახდელები და საშხაპეები გუნდებისთვის და მსაჯებისთვის, ექიმის შესავსები ოთახი, შესანიშნავი ფართო ოთახი პრესკონფერენციისთვის, ყველგანაა სანიტარული კვანძები, კომუნიკაციები წესრიგშია და ეს ყველაფერი ერთ თვეში მოესწრო. ახლო მომავალში მთლიანად შეიცვლება მინდორი, ამასთან, გაიწევს, როგორც სიგრძეში, ისე სიგანეში.

სტადიონის გახსნას დაესწრნენ — ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის რაიონში სპორტული ცხოვრების გააქტიურებაში. საზეიმო განწყობას კარგმა თამაშმაც შეუწყო ხელი.

წლევანდელი ჩემპიონატის პირველი მატჩი ბოლნისში ნამდვილ დღესასწაულად იქცა და, ვიმედოვნებთ, ასე იქნება პირველობის ბოლომდე. სულ მოკლე ხანში საქართველოში, ბოლნისში კიდევ ერთი საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისი, წმინდა საფეხბურთო სტადიონი იქნება, რაც უდავოდ სასიხარულო და მისასალმებელია“.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

# ნაკრები ლუქსემბურგშია ჩივაძის მეორე დებიუტი

გუშინ, დილით თბილისი-პრაღა-ფრანკფურტის რეისით, ლუქსემბურგს გაემგზავრა საქართველოს ეროვნული ნაკრები. ხვალ თბილისის დროით 22 საათზე ჩივაძის მეორე დებიუტი შედგება ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში. ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ნაკრების თავკაცებმა 18 ფეხბურთელი შეარჩიეს: ***მეკარეები:*** გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), დავით გვარამაძე (ტორპედო); ***მცველები:*** ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), ოთარ ხიზანეიშვილი (როსტსელმაში), რევაზ ქემოკლიძე (ტორპედო), გიორგი შაშიაშვილი (დინამო თბ); ***ნახევარმცველები:*** გივი დიდავა, მალხაზ ასათიანი (ორივე — ტორპედო), როინ ონიანი (ლოკომოტივი), ლადო ბურდული (დინამო თბ), გოჩა ჯამარაული (ციურიხი), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი), გიორგი გახოკიძე (პსვ); ***თავდამსხმელები:*** ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), გიორგი დემეტრაძე (სოსიედადი), რატი ალექსიძე (ჩელსი), ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი); ალექსანდრე ჩივაძე რვა წლის წინათ ედგა ნაკრებს სათავეში და მას სამი წელი თავკაცობდა (93.05 — 96.11). მისი პირველი დებიუტი, მაშინაც გასვლით შეხვედრაში შედგა (აზერბაიჯანი — საქართველო 1-0), ბოლო მატჩი კი საქართველო — ინგლისის გახმაურებული შეხვედრა იყო, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, რომელიც ბრიტანელებმა 2-0 მოიგეს. ახლა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი 25-ედ გაიყვანს გუნდს მინდორზე, მანამდე მისი სამწლიანი მონაგარი ასეთია: 24 მატჩი, 9 მოგება, 1 ფრე, 14 წაგება, ბურთების შეფარდება 25-35; ჩივაძის მწვრთნელობა დროებითია, თუმცა ამით არ მცირდება ხვალინდელი მატჩის მნიშვნელობა. ლუქსემბურგთან შერკინება ნაკრებისთვის ბოლო რეპეტიციაა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადების ეტაპზე.



**საბა ლომინაძე**

## დასკვნით ეტაპზე ზუგდიდის „დინამო“ გავიდა

ჭაბუკთა ლიგის 1985-86 წლებში დაბადებულთა (უმცროსი ასაკი) სამეგრელოს რეგიონის 2001 წლის შესარჩევ გათამაშებაში პირველობა და საქართველოს 2001-2002 წლების ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა ზუგდიდის „დინამომ“ (მწვ. გივი კობახიძე). II და III ადგილი შესაბამისად წილდა ხვდათ მარტვილის „საალხინოს“ (მწვ. მიხეილ ხელაია) და ფოთის „კოლხეთს“ (მწვ. ზვიად გვასალია). საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები, მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

* * *

**ჩატარდა** „ოდიშის“ ყოფილი პრეზიდენტის თემურ ხაზალიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე ტურნირი 1985-86 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ტურნირში I ადგილი დაიკავა ზუგდიდის „ლაზიკამ“ (მწვ. გერონტი ნაჭყებია), რომელსაც გადაეცა სრფფ-ის მიერ დაწესებული თემურ ხაზალიას სახელობის თასი. II და III ადგილები დაიკავეს სენაკის „ეგრისმა“ (მწვ. ემზარ კაჭარავა) და ზუგდიდის „ტაო-XXI საუკუნემ“ (მწვ. ვეფხია ტაბატაძე). საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები, მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ სრფფ-ის დიპლომებით. ტურნირის ინდივიდუალური პრიზების მფლობელები გახდნენ მეკარე დავით გვაჯაია („ლაზიკა“), მცველი ხვიჩა სამუშია („XXI საუკუნე“), ნახევარმცველი ვანო საჯაია („ეგრისი“), თავდამსხმელი რომეო ქარდავა („ლაზიკა“, საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა გოგა ეთერიას („ენგური“).

**ბელა ნაჭყებია,**
„ლელოს“ კორ. ზუგდიდი

## ტექნიკური შედეგები

**კოლხეთი 1913 – ლოკომოტივი 2-1**

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, ტორჩინავა, მიქელთაძე, ქუტიძე (კრასოვსკი 43), ფანჩულიძე, ქობულაძე, ახვლედიანი (ვართაგავა 72), კვირკველია, ე. გვასალია, კვეტენაძე (მუმლაძე 46), წივწივაძე.
***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, დავითნიძე, ზ. ლაცაბიძე (ბაქრაძე 44), ონიანი (მორჩილაძე 46). გილაური (სირბილაძე 46), ჰიჰვეიშვილი, გელა ქორიძე, დათვაძე, გოგიჩაიშვილი.
***გოლები:*** 0-1 დათვაძე (5), 1-1 წივწივაძე (37), 2-1 კვირკველია (39).
***გააფრთხილეს:*** წივწივაძე, კრასოვსკი, გელა ქორიძე, ჰიჰვეიშვილი:
***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**გურია – ტორპედო 0-2**

***გურია:*** გ. დოლიძე, კ. მეტრეველი (ოდიკაძე 53), ორბელაძე, გაბრიჭიძე (ხუჭუა 81), პატარიძე, განევი, მარღიშვილი, ჭნდელაძე, ფაცურია, ებრალიძე, კაციაშვილი.
***ტორპედო:*** გვარამაძე, აბრამიძე, ქემოკლიძე, თოდუა, დიდავა, მახვილაძე (ბაბუნაშვილი 72), ხვადაგიანი, იონანიძე, ასათიანი (ახალკაცი 51), აშვეთია, ქუთათელაძე (პარამონოვი 65).
***გოლები:*** 0-1, 0-2 აშვეთია (79,82)
***გააფრთხილეს:*** პატარიძე; აბრამიძე, აშვეთია, ქემოკლიძე.
***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**მეტალურგი – ვიტ ჯორჯია 0-3**

***მეტალურგი:*** მერკვილიშვილი, ლურსმანაშვილი, მაღლაკელიძე, ამაშუკელი (ორმოცაძე, 70), ჭყონია, სუხიაშვილი, კრავეიშვილი, ფირცხალაიშვილი, მემარნიშვილი, გეწაძე (ლაშა ხმალაძე 46), გურეშიძე.
***ვიტ ჯორჯია:*** მერლანი, არეშიძე, დ. დოლიძე, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლაშა ნოზაძე, დიღმელაშვილი, გოგობერიშვილი, ადამია (წუწუნავა 75). ლ. მელქაძე (ზაზაშვილი 81), სულთანიშვილი (ზ. მეტრეველი 55).
***გოლები:*** 0-1, 02 მელქაძე (23,52), 0-3 ზ. მეტრეველი (83)
***გააფრთხილეს:*** სუხიაშვილი, მემარნიშვილი, არეშიძე;
***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**დინამო (ბთ) – დინამო (თბ) 2-0**

***დინამო (ბთ):*** გ. ჭანტურია, ჩხაიძე, მინდაძე, არჩვაძე (ჩიჩუა 46), თურმანიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, რომანაძე, მაჭუტაძე, ტუღუში (დარჩიძე 70), აფხაზავა (გვაზავა 82).
***დინამო (თბ):*** გრიშიკაშვილი, სვანაძე, ამისულაშვილი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (კანდელაკი 46), შავგულიძე, ბურდული, ვ. დარასელია (გ. მიქაძე 46), მანწკავა (მიკუჩაძე 46), ბობოხიძე.
***გოლები:*** 1-0 მაჭუტაძე (12), 2-0 ხუჯაძე (14).
***მსაჯი:*** მ. მალაღურაძე (თბილისი)

**გორდა – მერანი 0-3**

***გორდა:*** კოროშინაძე, კედელაშვილი, ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, ზვ. ლაბაძე (კაპანაძე 46), მელაძე, ზ. ლაბაძე (ბუკია 64), ალადაშვილი (ბერაძე 46), ჯულელი, გოცირიძე, ა. ჯელიძე.
***მერანი:*** ნაჭყეპია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დევიძე, დავითაშვილი (ივეჩიანი 79), ბაჯელიძე, კოშკაძე, გაგუა (ცქიფურიშვილი 60), ჰინჰარაული, ბოლქვაძე (ი. შენგელია 85), მუხინი.
***გოლები:*** 0-1 დავითაშვილი (29), 0-2 ბაჯელიძე (39), 0-3 დევიძე (76)
***გააფრთხილეს:*** ცქიფურიშვილი, ბერიძე
***მსაჯი:*** ა. მეშკოვი (თბილისი)

**სიონი – სამგურალი 2-0**

***სიონი:*** ვოლკოვი, ირემაშვილი, სიდამონიძე, შაკიაშვილი (კ. გოდერძიშვილი 46), შ. ლაცაბიძე, ბარნოვი, ამბიძე, ისიანი, ბ. შენგელია (მოსეშვილი 65), მინაშვილი (გლუნჩაძე 83), გიორგი ქორიძე.
***სამგურალი:*** ბოდოკია, ბერაძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე, ღონღაძე, დარსაძე, ჯინჭარაძე, გ. მიქაძე (ჯიქია 66), ჭელიძე, კიკვიძე (ფუტკარაძე 70), ვაჩიბერაძე.
***გოლები:*** 1-0 გ. ქორიძე (10), 2-0 ბ. შენგელია (16)
შ. ისიანმა 72-ე და მე-80 წუთებზე ვერ გამოიყენა 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმები.
***გააფრთხილეს:*** ვაჩიბერაძე, გ. ქორიძე.
***მსაჯი:*** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).



## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| დინამო (ბთ) | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| კოლხ.1913 | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| დინამო (თბ) | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| გორდა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| ლოკომოტ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-9 | 3 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| გურია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| მეტალურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ლიგა გამოცდით იწყებს

ამ დღეებში, გამოცდები ჩააბარეს პირველი ლიგის მატჩების ინსპექტორებმა. თავად პირველობა კი დღეს ხუთი მატჩით გაიხსნება. უმაღლესი ლიგიდან ჩამოქვეითებული გორის „დილა" რეგიონული ლიგიდან აღზევებულ ზუგდიდის „ლაზიკას" უმასპინძლებს, „მერანი2" თსუ-ს მიიღებს, ხობის „კოლხეთი" — წნორის „მილანს", თბილისის „დინამო-2" „ლოკომოტივ-3"-ს, სამტრედიის „იბერია" — „ქობულეთს". ხვალ ერთი მატჩია „ცხინვალი" — ბორჯომის „თორი".

პირველი ლიგის გუნდებს და მსაჯებს სერიოზული დამკვირვებლები ეყოლებათ. ინსპექტორთა გამოცდები წარმატებით ჩააბარეს ქართული ფეხბურთის ავტორიტეტულმა სპეციალისტებმა — ვლადიმერ ელოშვილმა, სერგო კუტივაძემ, ჯემალ ზეინკლიშვილმა, თემურ აკოფიანმა, ჯონი ჯანელიძემ, უშანგი ფურცელაძემ, რეზო ტალიაშვილმა და სხვებმა. გამოცდების შედეგებით კმაყოფილი დარჩა სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო — „გამოცდებამდე ყველამ კონსულტაცია-გასაუბრება გაიარა, მათ გავაცანით ის სიახლეები, რომლებიც თბილისში ჩატარებულ მსაჯთა პროგრეს-კურსებზე თავად შევისწავლეთ. მოგეხსენებათ, სემინარს ჰოლანდიელი სპეციალისტი კიის ბაკერი უძღვებოდა, ჩვენც წესისამებრ მისი რეკომენდაციები გავითვალისწინეთ.



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

გამოცდები სამ ეტაპად ჩატარდა. წერილობითი, ვიდეოფირით ტესტირება და ზეპირი, ხუთსაკითხიანი ბილეთებით. სამი მაჩვენებლიდან შედეგები 5-ბალიანი სისტემით შეფასდა. უმეტესობამ კარგი ცოდნა გამოამჟღავნა, რაც პირველი ლიგის მატჩების მაღალ დონეზე ჩატარების წინაპირობაა. აქვე მინდა გაუწყოთ, რომ მათთვის, ვინც საპატიო მიზეზით გამოცდებში მონაწილეობა ვერ მიიღო, ტესტირება და ზეპირი გამოცდა ცალკე ჩატარდება გასაუბრებით და იგივე პროგრამით".

საბა ლომინაძე

**შენიშვნა:**

**პირველი ლიგის სამ კლუბს ბორჯომის „თორს", სამტრედიის „იბერიას" და ზუგდიდის „ლაზიკას" არ შეუტანიათ საწევრო 12.000 ლარი თითოეულს. „თორს" შესაბამისი საბუთებიც არ წაუღია ფეხბურთის ფედერაციიდან.**

**თუ ზემოთ აღნიშნული გუნდები დღეს (14.08) არ წარმოადგენენ თანხას და ყველა შესაბამის დოკუმენტს, მოიხსნებიან გათამაშებიდან. შესაბამისად, მათი თამაშები გადაიდება და სფფ-საგანგებო კომიტეტი გადაწყვეტს თუ რეგიონული ლიგის რომელი გუნდი ჩაირიცხება ლიგაში მათ ნაცვლად.**

*სურათზე:*
*ინსპექტორები გამოცდაზე*

გახსენება

# სერგო ესაკია

რამდენიმე თვეა, რაც წავიდა ჩვენგან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, ბრწყინვალე ფეხბურთელი, კარგი ვაჟკაცი და დიდი მამულიშვილი სერგო ესაკია.

მან შეგნებული და შინაარსიანი ცხოვრება ქართული ფეხბურთის აღმავლობას შეალია, წლების მანძილზე სოხუმის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი იყო. სელექციური ნიჭით სოხუმისა და გაგრის, ოჩამჩირისა და გალის საფეხბურთო სკოლებიდან, ბევრი ტყავის ბურთის უბადლო ოსტატები შეარჩია, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს ქართულ ფეხბურთს. ესენია: გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გოჩა გავაშელი, იური გრამატიკოპულო, ნიაზ ძიაპშიპა. თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობას აღუზარდა ალექსანდრე ილიადი, იური კურტანიძე, გენადი ზარია, შოთა სიჭინავა, სერგო ფიფია, ძმები ერქომაიშვილები. ის თანამშრომლობდა და ახლის ძიებაში იყო იმ კაშკაშა ვარსკვლავებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ავთანდილ ღოღობერიძე, ვალტერ სანაია, ვლადიმერ მარღანია, ნიკიტა სიმონიანი. მთელი მისი ოჯახი ფეხბურთზე დიდად შეყვარებულია. ვერ დავივიწყებთ მის შვილებს სერგოსა და ლეილას. ისინი პატარები იყვნენ და როგორ ქომაგობდნენ მამის გაზრდილ ვაჟკაცებს.

მადლობა გვინდა ვუთხრათ, პანსიონატ „სავანის" მედ-პერსონალს, მის ხელმძღვანელობას ქალბატონ მერი გოგოლს, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე უექიმა ბატონ სერგოს.

**ვლადიმერ ელოშვილი, გივი ხოჯოლავა, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, ანატოლი მილჩენკო, იურა კურტანიძე, ალიკ ილიადი, გენადი ზარია, შოთა სიჭინავა, სერგო ფიფია, ზაურ ფხაკაძე.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ყველა ვალი გასტუმრებული იქნება!

ცოტა კურიოზული ამბავია — მადრიდის „რეალი" უმდიდრესი კლუბია, თან უამრავი ვალი აქვს. ამას კლუბის ახლანდელი ხელმძღვანელობა ძველ მესვეურებს აბრალებს.

როგორც „რეალის" ახლანდელმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, 2002 წლის ზაფხულისათვის კლუბი ყველა ვალს მთლიანად გაისტუმრებს.

### ირონიული შენიშვნა

**დონის როსტოვის „როსტსელმაში" კარგა ხანია თამაშის წარმმართველის, დისპეტჩერის თუ დირიჟორის არყოლას უჩივის.**

**ჟურნალისტის შეკითხვაზე, სად არის, ბოლოს და ბოლოს, გუნდის დისპეტჩერი, გულმობეზრებულმა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ ასე უპასუხა:**

**— დისპეტჩერები ტრამვაი — ტროლეიბუსების პარკში დარჩნენ.**

### არა, ასეთი პიროვნება არა გვსურს!

**იმის მიუხედავად, რომ ცნობილ ნიგერიელ თავდამსხმელს, 32 წლის ჯონათან აკპობორის სასამართლომ ყოველგვარი ბრალდება მოუხსნა მონებით ვაჭრობის შესახებ (თითქოს მისი გემით აფრიკელი ბავშვები ამერიკაში გადაჰყავდათ და იქ ყიდდნენ), ბუნდესლიგის კლუბმა „ვოლფსბურგმა" განაცხადა, რომ ასეთ პიროვნებასთან ურთიერთობა არა სურს და იგი მეორე ბუნდესლიგის კლუბ „საარბრიუკენს" მიჰყიდა.**

### „მანჩესტერ იუნაიტედში" - ბოლომდე

საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზს „მანჩესტერ იუნაიტედთან" ხელშეკრულება 2005 წლამდე აქვს. როგორც მან განაცხადა, იგი ამ კლუბიდან არსად აპირებს წასვლას. როცა დაუმთავრდება კონტრაქტი, მაშინ 35 წლის იქნება და თუ თამაში მაღალ დონეზე ვეღარ შეძლო, საერთოდ, დაანებებს თავს ფეხბურთს.

### რონალდინიო - ანელკა - ალოიზიო

**„პარი სენ-ჟერმენის" ასეთ მრისხანე შემტევ სამეულს შეიძლება ევროპაში ბევრმა ვერც გაუძლოს. რონალდინიოს ასეთი გვიანი ჩარიცხვა იმით აიხსნა, რომ საბოლოოდ არ იყო გარკვეული საქმე „გრემიოსთან", რომელიც 38 მილიონ დოლარს მოითხოვდა, თვით რონალდინიო კი აცხადებდა, რომ 15 თებერვლიდან თავისუფალი აგენტია. ამ ისტორიაში თვით ფიფაც კი ვერ გაერკვა, რონალდინიოს პარიზის კლუბმა თამაშის ნება მისცა, ფინანსური დავა კი გაგრძელდება.**

**ანელკა ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა, ალოიზიო კი პარიზში „სენტ-ეტიენიდან" გადავიდა.**

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# ტური, ზოგისთვის გადამწყვეტი, ზოგისთვის...

კარგა ხნის შესვენების შემდეგ, დღეს, 14 აგვისტოს განახლდება ბრძოლა მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკულ ჯგუფში. ახალ სისტემაზე გადასვლა, როცა 10 ნაკრები ორ წრედ თამაშობს, უდავოდ პროგრესული ნაბიჯი გამოდგა. დიახ, მატჩების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (18 ადრინდელი 6-ის ნაცვლად), მაგრამ სამაგიეროდ, გამოირიცხა ყოველგვარი შემთხვევითობა. ასეთი საფუძვლიანი გაცხრილვისა თუ შერჩევის შემდეგ რაიმე არაობიექტურ შედეგზე ლაპარაკიც ზედმეტია.

დღეს, 14 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებიან ჩილესა და ბოლივიის, ვენესუელისა და ურუგვაის ნაკრებები. უფრო მნიშვნელოვანია ხვალინდელი: ბრაზილია — პარაგვაის, ეკვადორ-არგენტინისა და კოლუმბია-პერუს მატჩები.

ჯერ სატურნირო ცხრილს გადავხედოთ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | 13 | 10 | 2 | 1 | 33-11 | 32 |
| **პარაგვაი** | 13 | 8 | 2 | 3 | 21-11 | 26 |
| **ეკვადორი** | 13 | 8 | 1 | 4 | 17-16 | 25 |
| **ბრაზილია** | 13 | 6 | 3 | 4 | 22-12 | 21 |
| **ურუგვაი** | 13 | 6 | 3 | 4 | 15-9 | 21 |
| **კოლუმბია** | 13 | 5 | 4 | 4 | 12-12 | 19 |
| **ბოლივია** | 13 | 3 | 4 | 6 | 14-20 | 19 |
| **პერუ** | 13 | 3 | 3 | 7 | 12-17 | 12 |
| **ჩილე** | 13 | 3 | 1 | 9 | 12-18 | 10 |
| **ვენესუელა** | 13 | 1 | 1 | 11 | 8-40 | 4 |

როგორც მკითხველი ადვილად დარწმუნდება, ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეჯიბრების დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე თავი ქუდში აქვს, არგენტინაა, ვთქვათ მოხდა დაუჯერებელი და წარმოუდგენელი რამ — ლიდერმა წააგო ყველა დარჩენილი შეხვედრა (მაშინ, როდესაც დღემდე მხოლოდ ერთხელ დამარცხდა — ისიც სტუმრად — ბრაზილიელებთან), იგი მაინც მოიპოვებს იაპონია-კორეაში გასამგზავრებელ საგზურს! მარსელო ბიელსას ახლა ისეთი არჩევანი აქვს, როგორც არასდროს. არავინ დავობს, რომ ეს არის დღეისათვის მსოფლიოში უძლიერესი ნაკრები. მართალია, ბიელსა ხშირად მიმართავს სხვა სპეციალისტებისათვის გაუგებარ გადაწყვეტილებებს, არ სცნობს რომელიმე სხვა ავტორიტეტს, ლამის აცხადებს, რომ არგენტინული ფეხბურთი მისით იწყება, მაგრამ განა ვინმეს შეუძლია შეედავოს ასეთი შედეგების შემდეგ. ბიელსა თვლის, რომ ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა მზად არის მსოფლიო პირველობაზე სათამაშოდ. ნაკლებად იწვევს ვეტერანებს, ყურადღებას არ აქცევს ახალგაზრდებს (აიმარი, რიკელმე, სავიოლა). ელიან, რომ არგენტინელები დარჩენილ მატჩებს კვლავ სრული ძალით წარმართავენ (შეეცდებიან რევანში აიღონ ბრაზილიელებთან!), რათა კიდევ უფრო დამაჯერებლად გავიდნენ პირველ ადგილზე (თუმცა მეტი რაღა დამაჯერებლობა უნდათ).

თუ არგენტინელებისათვის ხვალინდელ მატჩს ქულათა თვალსაზრისით არა აქვს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა, იგი შეიძლება მეტად არსებითი აღმოჩნდეს ეკვადორელთათვის, რომლებსაც სამხრეთ ამერიკაში არასოდეს ჰქონიათ ესოდენ მაღალი ადგილი. თუ ეკვადორელებმა წააგეს, მაშინ მათთან სახიფათო სიახლოვეს კიდევ სამი ნაკრები აღმოჩნდება. ვინ იცის...

სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრაზილია — პარაგვაის მატჩს. ლუის ფელიპე სკოლარისათვის არავის არავითარ მიღწევად არ ჩაუთვლია მოგება 9 აგვისტოს პანამელებთან (5-0). პირიქით, ყველა ახსენებს მარცხს Copa America-ზე. „ფლამენგოს" თავდამსხმელი ედილსონი თვლის, სკოლარი მაშინ შეცდა, როცა კოლუმბიაში არ წაიყვანა ამჟამად ბრაზილიურ კლუბებში წარმატებით მოთამაშე ფეხბურთელები — თავდამსხმელი პაულო ნუნიესი, მცველი ჟუნიორი და თვით ედილსონი. „ახლა ისე ვთამაშობ, როგორც არასდროს და ბრაზილიაში ერთ-ერთი საუკეთესოც ვარ". კოლუმბიაში სკოლარის, მისი აზრით, მთლიანად სარეზერვო შემადგენლობა უნდა წაეყვანა, მან კი აირჩია „ნახევრად ძირითადი" და, ასე გასინჯეთ, ტურნირში გამარჯვებასაც კი ლამობდა. ედილსონს, რომელიც, როგორც ჩანს, მაინცდამაინც თავმდაბლობით არ გამოირჩევა, თავი „ნაკრების მხსნელად" მიაჩნია. საინტერესოა ისიც, რომ ახლა, როცა სკოლარიმ ნაკრებიდან გამოიყვანა რომარიო, ედილსონი ერთ-ერთი მცირეთაგანი აღმოჩნდა, რომელმაც დაიცვა ვეტერანი. ახლა თვით მოთამაშეებიც არ იჩენენ ნაკრებში გამოსვლის დიდ სურვილს, იმ გუნდში, რომელსაც „ჰონდურასმა მოუგო" (ჩვენ სრულიად შეგნებულად ვიკავებთ თავს იმ „არაპარლამენტური გამოთქმისაგან" რომელიც მოთამაშეებმა იხმარეს).

ახლა ყველა, ვისაც ეხება თუ არ ეხება, სკოლარის ლანძღავს. ლაპარაკია, რომ იგი არ ითვალისწინებს ცალკეული ფეხბურთელების დამახასიათებელ თავისებურებებს, რომ იგი ისეთი სტილის მიმდევარია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს „ბრაზილიურ არტისტიზმთან", სრულიად აშკარად მოუწოდებს ფეხბურთელებს უხეში თამაშისკენ, რომ მათ უნდა „მოსპონ მეტოქეები", „არ გააჩერონ" და ა.შ.

რაც შეეხება ბრაზილიური ფეხბურთის უდიდეს ავტორიტეტებს, ვთქვათ, მარიო ზაგალოს, ან კარლოს ალბერტო პარეირას, გნებავთ პაულო სეზარ კარპეჯანის, ისინი, მიმომხილველთა აზრით, სულაც არ ცდილობენ დაეხმარონ შარში გახვეულ სკოლარის (იგივეს აკეთებდა თვით „დონ ფელიპეც" წინამორბედების მიმართ), დუმილს ამჯობინებენ.

ახლა სკოლარის, რომელიც სულ ორიოდე თვის წინათ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ბრაზილიელ ტორსედორერებს შორის, ერთი რამ დარჩენია — ან პარაგვაელებთან აუცილებლად მოიგოს, ანდა... სადღაც გადაიკარგოს!

ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს კი ვერ შეედრება, მაგრამ არც სხვებია ინტრიგას მოკლებული. ახლა გარკვეული იმედები ურუგვაელებსაც აქვთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1 ივლისს მონტევიდეოში გამოტოვებული მატჩი მოუგეს ბრაზილიელებს „სულაც არ ყოფილა აუცილებელი უცხოელი მწვრთნელის მოწვევა" — თქვა მას შემდეგ, რაც მეტისმეტად ჯიუტმა არგენტინელმა დანიელ პასარელამ დატოვა ნაკრები და იგი შესანიშნავმა ადგილობრივმა სპეციალისტმა ვიქტორ პუამ შეცვალა. ურუგვაელებს, თუნდაც სტუმრად, არ უნდა გაუჭირდეთ უიმედო აუტსაიდერის — ვენესუელის ნაკრების დამარცხება. პუას არაერთი შესანიშნავი ოსტატი ჰყავს. 6 მათგანი იტალიაში თამაშობს, აქედან ალვარო რეკობა მილანის „ინტერის" წამყვანი თავდამსხმელია, ხოლო პაოლო მონტერო, ურუგვაელი „სელესტას" კაპიტანი, ტურინის „იუვენტუსის" ცენტრალური მცველია. დარიო სილვა და ფედერიკო მეგალიანესი ესპანეთში თამაშობენ, პირველი „მალაგაში", მეორე კი სანტანდერის „რასინგში". ურუგვაი, ვენესუელის გარდა სტუმრად თამაშობს ბოლივიისა და პერუს გუნდებთან, ჯერ კოლუმბიას მიიღებს, ბოლო ტურში კი — არგენტინას.

მიმომხილველები ფიქრობენ, რომ შეიძლება ბრძოლა მეოთხე ადგილისათვის მხოლოდ ბრაზილიისა და ურუგვაის მეტოქეობით არ შემოიფარგლოს. კოლუმბიელები ახლა საკმაოდ წარმატებით თამაშობენ, ორ ტურში კი ისეთ მეტოქეებს მიიღებენ, რომლებსაც არაფრის პრეტენზია უკვე აღარა აქვთ, შინ ეთამაშებიან ეკვადორს, სტუმრად კი ურუგვაელებს და პარაგვაელებს. ექსპერტები თვლიან, რომ ახლა ფრანჩესკო მატურანას გუნდი სხვის მინდვრებზეც საკმაოდ კარგად თამაშობს.

ვენესუელა, ისევე, როგორც ყველა სამხრეთამერიკულ შეჯიბრებაში, თავიდანვე აშკარა აუტსაიდერი იყო. თანდათან ყოველგვარი შესაძლებლობები დაკარგეს ჩილეს, პერუსა და ბოლივიის ნაკრებებმა. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ისე, სახსვათაშორისოდ მოეკიდებიან დარჩენილ მატჩებს.

გივი გამრეკელი

# თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ მოიპოვა ყველაზე მეტჯერ თასის მფლობელთა თასი:***

ა) ბარსელონა
ბ) ანდერლეხტი
გ) ატლეტიკო

***2. სად გაიმართა ჩემპიონთა ლიგის პირველი გათამაშების (1991 — 1992) ფინალური შეხვედრა (ბარსელონა — სამპდორია 1-0):***

ა) ბრიუსელი
ბ) ლონდონი
გ) ათენი

***3. ვინ გაიტანა გადამწყვეტი გოლი ჩემპიონთა ლიგის მეორე გათამაშების (1992-1993) ფინალურ შეხვედრაში (ოლიმპიკი — მილანი 1-0):***

ა) ბოქშიჩი
ბ) ბოლი
გ) სოზე

***4. ვინ შეასრულა „დუბლი" 1985 წლის სუპერთასის შეხვედრაში (იუვენტუსი-ლივერპული 2-0):***

ა) ბონეკი
ბ) ბეტეგა
გ) პლატინი

***5. რომელ ქალაქში დაიბადა ცნობილი ჰოლანდიელი თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი:***

ა) უტრეხტი
ბ) ამსტერდამი
გ) როტერდამი

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — ა, 3 — ა, 4 — ა, 5 — ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## გერმანია

| | |
|---|---|
| მიუნხენი — ჰამბურგი | 1-1 |
| შტუტგარტი — ვერდერი | 0-0 |
| კოტბუსი — ნიურნბერგი | 1-0 |
| ფრაიბურგი — ჰერტა | 1-3 |
| დორტმუნდი — ვოლფსბურგი | 4-0 |
| ლევერკუზენი — ბაიერნი | 1-1 |
| კაიზერსლაუტერნი — კიოლნი | 2-1 |
| სანქტ პაული — ჰანზა | 0-1 |
| მიონჰენგლადბახი — შალკე | 0-0 |

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| კაიზერსლ. | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| კოტბუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| ჰამბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ჰერტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| მიონჰენგლად. | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ვერდერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| ფრაიბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ნიურნბერგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| ჰანზა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| სტ. პაული | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| შტუტგარტი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| შალკე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| ვოლფსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| მიუნხენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

## საფრანგეთი

| | |
|---|---|
| რენი — მონაკო | 3-0 |
| ტრუა — ნანტი | 0-0 |
| სედანი — გენგამი | 1-1 |
| პსჟ — სოშო | 1-0 |
| მონპელიე — მეცი | 3-0 |
| ლანსი — მარსელი | 2-0 |
| ბორდო — ლილი | 0-0 |
| ლორიანი — ოსერი | 0-1 |
| ბასტია — ლიონი | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| ოსერი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| სოშო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ლიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| მონპელიე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 5 |
| ლილი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| ბორდო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| პსჟ | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| ტრუა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| გენგამი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| ლორიანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| რენი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-9 | 3 |
| მეცი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| სედანი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| ბასტია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| მარსელი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| ნანტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| მონაკო | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |



*რენი — მონაკო*

## რუსეთი

| | |
|---|---|
| ცსკა — როსტსელმაში | 0-0 |
| როტორი — ტორპედო ზილი | 0-0 |
| სპარტაკი — სატურნი | 0-0 |
| ჩერნომორეცი — ფაკელი | 1-0 |
| სოკოლი — დინამო | 2-1 |
| ზენიტი — კრილია სოვეტოვი | 1-1 |
| ლოკომოტივი — ტორპედო | 3-1 |
| ანჟი — ალანია | 3-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 21 | 11 | 7 | 3 | 32-17 | 40 |
| ზენიტი | 21 | 11 | 6 | 4 | 35-26 | 39 |
| ლოკომოტივი | 21 | 11 | 5 | 5 | 36-17 | 38 |
| კრილია სოვ. | 21 | 10 | 6 | 5 | 27-16 | 36 |
| ცსკა | 21 | 9 | 8 | 4 | 25-15 | 35 |
| სოკოლი | 21 | 10 | 5 | 6 | 24-26 | 35 |
| ტორპედო | 21 | 9 | 5 | 7 | 35-30 | 32 |
| სატურნი | 21 | 8 | 7 | 6 | 27-15 | 31 |
| ანჟი | 21 | 6 | 8 | 7 | 22-20 | 26 |
| როსტსელმაში | 21 | 6 | 5 | 10 | 18-24 | 23 |
| ალანია | 21 | 6 | 5 | 10 | 21-30 | 23 |
| დინამო | 21 | 5 | 7 | 9 | 25-33 | 22 |
| როტორი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-31 | 21 |
| ფაკელი | 21 | 5 | 4 | 12 | 19-26 | 19 |
| ტორპ.ზილი | 21 | 4 | 7 | 10 | 13-28 | 19 |
| ჩერნომორეცი | 21 | 3 | 7 | 11 | 10-38 | 16 |



*ბორუსია (დორტმუნდი) — ვოლფსბურგი*

## შოტლანდია

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი — დანდი იუნ. | 0-1 |
| სელტიკი — ჰართსი | 2-0 |
| დანდი — ლივინგსტონი | 1-0 |
| ჰიბერნიანი — აბერდინი | 2-0 |
| დანფერმლაინი — რეინჯერსი | 1-4 |
| მოზერუელი — კილმარნოკი | 2-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| დანდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| დანფერმლაინი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| დანდი იუნ. | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| ჰიბერნიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| ლივინგსტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ჰართსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| კილმარნოკი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| მოზერუელი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| აბერდინი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| სტ. ჯონსტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

## ავსტრია

| | |
|---|---|
| ტიროლი — რიდი | 0-0 |
| ზალცბურგი — კერნტენი | 1-2 |
| ადმირა — შტურმი | 1-2 |
| აუსტრია — რაპიდი | 2-1 |
| გრაცერი — ბრეგენცი | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-0 | 14 |
| გრაცერი | 7 | 4 | 2 | 1 | 17-6 | 14 |
| შტურმი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| რიდი | 7 | 2 | 4 | 1 | 13-10 | 10 |
| რაპიდი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-13 | 10 |
| კერნტენი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-12 | 10 |
| აუსტრია | 7 | 2 | 3 | 2 | 12-11 | 9 |
| ზალცბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| ბრეგენცი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-17 | 5 |
| ადმირა | 7 | 0 | 0 | 7 | 4-19 | 0 |

## შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბაზელი — იანგ ბოისი | 3-1 |
| სერვეტი — გრასჰოპერი | 1-1 |
| ლოზანა — არაუ | 0-3 |
| სიონი — ლუცერნი | 3-1 |
| ციურიხი — ქსამაქსი | 1-1 |
| სტ. გალენი — ლუგანო | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 7 | 4 | 3 | 0 | 13-7 | 15 |
| სიონი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-7 | 13 |
| ლუგანო | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| იანგ ბოისი | 7 | 3 | 3 | 1 | 14-10 | 12 |
| გრასჰოპერი | 7 | 3 | 2 | 2 | 19-10 | 11 |
| არაუ | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| ქსამაქსი | 6 | 2 | 3 | 1 | 5-3 | 9 |
| სერვეტი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-8 | 9 |
| ბაზელი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-16 | 7 |
| სტ. გალენი | 7 | 1 | 2 | 4 | 10-17 | 5 |
| ლუცერნი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-19 | 2 |
| ლოზანა | 5 | 0 | 1 | 4 | 4-12 | 1 |

## პორტუგალია

| | |
|---|---|
| ბოავიშტა — ბეირა მარი | 3-0 |
| ბრაგა — ლეირია | 0-0 |
| ვარზიმი — ბენფიკა | 2-2 |
| სალგეირუში — ფარენსე | 0-2 |
| ფერეირა — ბელენენსეში | 3-1 |
| სპორტინგი — პორტუ | 1-0 |
| გიმარაეში — ჟიულ ვისენტე | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| ფერეირა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ჟილ ვისენტე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ფარენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ბრაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ლეირია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ვარზიმი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| მარიტიმუ | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| სეტუბალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ალვერკა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| სანტა-კლარა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| პორტუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ბელენენსეში | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| სალგეირუში | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ბეირა მარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

## ბელგია

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი — ანტვერპენი | 3-0 |
| გენკი — ბევერენი | 5-1 |
| ლიერსი — ლოკერენი | 1-1 |
| გენტი — სენტ ტრუიდენი | 4-2 |
| ლომელი — მოლენბეკი | 1-0 |
| ბეერსხოტი — ლუვიე | 8-2 |
| შარლერუა — სტანდარდი | 0-0 |
| ბრიუგე — ვესტერლო | 4-2 |
| აალსტი — მუსკრონი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეერსხოტი | 1 | 1 | 0 | 0 | 8-2 | 3 |
| გენკი | 1 | 1 | 0 | 0 | 5-1 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| გენტი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| ბრიუგე | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| აალსტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლომელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლიერსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ლოკერენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| შარლერუა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| სტანდარდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| მუსკრონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| მოლენბეკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ვესტერლო | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| სტ. ტრუიდენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| ანტვერპენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| ბევერენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-5 | 0 |
| ლუვიე | 1 | 0 | 0 | 1 | 2-8 | 0 |

## ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სპარტა — ლიბერეცი | 1-2 |
| სლავია — პრ. კრალოვე | 4-0 |
| ბანიკი — იაბლონეცი | 3-0 |
| ტეპლიცე — დრნოვიცე | 0-2 |
| ბრნო — ჟიჟკოვი | 1-3 |
| ბოჰემიანსი — სიგმა | 2-0 |
| სინოტი — პრჟიბრამი | 2-0 |
| ბლშანი— ოპავა | 4-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოჰემიანსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| ბანიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| ლიბერეცი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| ჟიჟკოვი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| სლავია | 3 | 2 | 0 | 1 | 9-6 | 6 |
| იაბლონეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| ბლშანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| სინოტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| ბრნო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| სიგმა | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| სპარტა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| დრნოვიცე | 3 | 1 | 0 | 2 | 6-6 | 3 |
| ოპავა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |
| ტეპლიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| პრჟიბრამი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |
| პრ. კრალოვე | 3 | 0 | 0 | 3 | 1-14 | 0 |

## პოლონეთი

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| კატოვიცე — ზაგლებე | 1-0 |
| ოდრა — ვიძევი | 2-0 |
| გურნიკი — ვისლა | 1-2 |
| ოსტროვეცი — პოლონია | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდრა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| პოლონია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| ვისლა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| ზაგლებე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| კატოვიცე | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| ვიძევი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| ოსტროვეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |
| გურნიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |



*სპორტინგი — პორტუ*

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| რადომსკო — რუხი | 1-0 |
| სტომილი — პოგონი | 1-1 |
| ლეგია — გროცლინი | 1-1 |
| შლიონსკი — ამიცა | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| პოგონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-2 | 6 |
| შლიონსკი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| სტომილი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| ლეგია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-4 | 4 |
| რადომსკო | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 4 |
| გროცლინი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| რუხი | 4 | 1 | 1 | 2 | 2--6 | 4 |

## თურქეთი

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში — ტრაბზონი | 1-2 |
| გიოზთეფე — ბურსა | 2-0 |
| გენჩლერბირლიგი — დიარბაქი | 4-4 |
| ფენერბახჩე — სამსუნი | 3-0 |
| რიზე — ქოჯაელი | 0-0 |
| ისთანბული — მალათია | 1-0 |
| ანთალია — ანკარაგიუჯიუ | 1-8 |
| დენიზლი — იოზგათი | 5-0 |
| გაზიანთეფი — გალათასარაი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანკარაგიუჯუ | 1 | 1 | 0 | 0 | 8-1 | 3 |
| დენიზლი | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 3 |
| ფენერბახჩე | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| გიოზთეფე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ტრაბზონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ისთანბული | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| გენჩლერბირ. | 1 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 1 |
| დიარბაქი | 1 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 1 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| გაზიანთეფი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ქოჯაელი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| რიზე | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ბეშიქთაში | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| მალათია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ბურსა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| სამსუნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| იოზგათი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |
| ანთალია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-8 | 0 |

## დანია

| | |
|---|---|
| აკადემისკი — ვიბორგი | 1-2 |
| ლიუნგბიუ — ბრონდბიუ | 1-0 |
| ვაილე — სილკებორგი | 3-0 |
| ორჰუსი — მიდტიულანდი | 0-1 |
| ოდენსე — ოლბორგი | 0-2 |
| ესბიერგი— კოპენჰაგენი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 4 | 3 | 0 | 1 | 10-2 | 9 |
| ოლბორგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| ლიუნგბიუ | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| კოპენჰაგენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| ვეილე | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| ვიბორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| მიდტიულან. | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| აკადემისკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 4 |
| ესბიერგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| ოდენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| სილკებორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| ორჰუსი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |

## შვედეთი

| | |
|---|---|
| ჰეკენი — გიოტებორგი | 3-0 |
| ჰამარბი — იურგორდენი | 0-1 |
| მალმიო — ტრელებორგი | 1-3 |
| იორებრო— ნორჩიოპინგი | 5-3 |
| იორგრიტე — ჰალმსტადი | 0-2 |
| აიკ — ჰელსინგბორგი | 2-2 |
| ელფსბორგი — სუნდსვალი | 3-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 17 | 9 | 5 | 3 | 28-17 | 32 |
| იურგორდენი | 17 | 9 | 5 | 3 | 23-16 | 32 |
| გიოტებორგი | 17 | 7 | 6 | 4 | 27-21 | 27 |
| ჰალმსტადი | 17 | 7 | 5 | 5 | 36-22 | 26 |
| იორგრიტე | 17 | 6 | 7 | 4 | 23-20 | 25 |
| მალმიო | 17 | 7 | 3 | 7 | 28-25 | 24 |
| აიკ | 17 | 6 | 6 | 5 | 23-20 | 24 |
| ჰელსინგბორ. | 17 | 5 | 8 | 4 | 27-23 | 23 |
| ელფსბორგი | 17 | 6 | 4 | 7 | 25-31 | 22 |
| იორებრუ | 17 | 4 | 9 | 4 | 29-29 | 21 |
| ჰეკენი | 17 | 4 | 6 | 7 | 22-25 | 18 |
| ნორჩიოპინგი | 17 | 4 | 5 | 8 | 19-31 | 17 |
| სუნდსვალი | 17 | 3 | 5 | 9 | 14-25 | 14 |
| ტრელებარგი | 17 | 3 | 4 | 10 | 19-38 | 13 |

## ნორვეგია

| | |
|---|---|
| ბრინი — მოლდე | 4-3 |
| ლინი — ლილესტრიომი | 0-2 |
| მოსი — ბოდიო გლიმტი | 2-0 |
| ოდ გრენლანდი — სტაბეკი | 3-0 |
| სოგნდალი — ბრანი | 4-3 |
| სტრიომგოდსეტი — ვიკინგი | 3-3 |
| ტრომსიო — რუსენბორგი | 1-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 18 | 11 | 5 | 2 | 50-21 | 38 |
| ლილესტრ. | 17 | 11 | 3 | 3 | 44-23 | 36 |
| ვიკინგი | 18 | 10 | 5 | 3 | 34-21 | 35 |
| ბრანი | 18 | 10 | 4 | 4 | 50-29 | 34 |
| სტაბეკი | 18 | 11 | 1 | 6 | 34-26 | 34 |
| ოდგრენლანდი | 17 | 9 | 4 | 4 | 35-22 | 31 |
| მოლდე | 18 | 8 | 4 | 6 | 36-31 | 28 |
| სოგნდალი | 18 | 6 | 4 | 8 | 29-41 | 22 |
| მოსი | 18 | 6 | 1 | 11 | 22-35 | 19 |
| ბოდო გლიმტი | 18 | 4 | 6 | 8 | 27-34 | 18 |
| ლინი | 18 | 3 | 7 | 8 | 27-33 | 16 |
| სტრიომგოდ. | 18 | 3 | 6 | 9 | 31-53 | 15 |
| ტრომსო | 18 | 4 | 0 | 14 | 14-37 | 12 |
| ბრინი | 18 | 3 | 2 | 13 | 18-45 | 11 |

## ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰაკა — ტამპერე | 0-1 |
| ჰიკი — მიუპა | 2-0 |
| ჯაზი — ლაჰტი | 2-2 |
| კუოპიო — იოკერიტი | 0-1 |
| ვაასა — ინტერი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 22 | 12 | 7 | 3 | 33-17 | 43 |
| ტამპერე | 20 | 13 | 3 | 4 | 33-23 | 42 |
| ჰიკი | 22 | 11 | 8 | 3 | 39-13 | 41 |
| ჰაკა | 21 | 10 | 5 | 6 | 32-18 | 35 |
| ინტერი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-28 | 34 |
| ატლანტისი | 21 | 8 | 7 | 6 | 28-27 | 31 |
| ლაჰტი | 20 | 6 | 6 | 8 | 26-29 | 24 |
| ვაასა | 21 | 7 | 2 | 12 | 24-35 | 23 |
| იოკერიტი | 23 | 6 | 5 | 12 | 23-38 | 23 |
| კუოპიო | 21 | 5 | 6 | 10 | 17-30 | 21 |
| ჯაზი | 22 | 3 | 8 | 11 | 19-33 | 17 |
| როვანიემი | 21 | 4 | 5 | 12 | 12-33 | 17 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სუპერთასები

### ინგლისი

**მანჩესტერი – ლივერპული 1-2**

*მანჩესტერი:* ბარტეზი, ირვინი, სილვესტრი, გ. ნევილი, სტამი, ბექჰემი, ბატი (იორკი 66), კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტეროი.

*ლივერპული:* ვესტერველდი, ბაბელი, ენჩოსი, ჰიპია, მარფი (ბერგერი 72), რიისე (კარაგერი 83), ბარმბი (ბისკანი 72), ჰამანი, მაკალისტერი, ჰესკი, ოუენი.

გოლები: 0-1 მაკალისტერი (2 პენ), 0-2 ოუენი (16), 1-2 ვან ნისტეროი (51)




### ჰოლანდია

**ეინდჰოვენი – ტვენტე 3-2**

1-0 კეჟმანი (4), 2-0 ბრუგინკი (10), 2-1 დე ვიტე (33), 3-1 რომედალი (71), 3-2 ვან დერ დულენი (90).

## იტალიის თასის I ეტაპი

ასკოლი – კომო 0-3
კოზენცა – ვენეცია 1-1
პალერმო – ლივორნო 3-0
ნაპოლი – სიენა 1-2
მოდენა – ლუმეცანე 1-0
სამპდორია – ჩიტადელა 2-0
კროტონე – ვიჩენცა 1-1
ემპოლი – ანკონა 1-0
ტრევიზო – ბარი 0-0
არეცო – ჯენოა 2-2
რეჯინა – კალიარი 2-1
მონცა – აველინო 2-1
პესკარა – მესინა 0-3
პრატო – ტერნანა 0-2
სალერნიტანა – კატანია 3-0
პისტოიეზე – კიევო 1-2

***დერბი (ინგლისი) – ბარსელონა (ესპანეთი) 0-3***

*დერბი:* ოუკსი, დაინო, ჰიგინბოთამი, კარბონარი (ბრაგსტადი 14), რიგოტი, მავენე (პაუელი 46), ბარლი, ქინქლაძე (ბარტონი 74), ჯონსონი (ერანიო 46), რავანელი, კრისტი.

*ბარსელონა:* ბონანო (რეინა 46), რაიციგერი, ანდერსონი (მარსელო 71), ფ. დე ბერი (კრისტანვალი 46), სერხი (გაბრი 46), ჩავი, როშემბაკი (რობერტო ტრაშორასი 66), კოკუ, ჯოვანი, კლიუვერტი (ლუის ენრიკე 46), ოვერმასი.

*გოლები:* კლიუვერტი (5,6), ჯოვანი (16)

***დეპორტივო – რეალი 2-1***

*დეპორტივო:* მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი, ელდერი, კაპდევილა, ემერსონი, დუშერი, ვიქტორი (ფერნანდო), ვალერონი (ხაიმე), ამავისკა (დიეგო ტრისტანი), მაკაი (სკალონი)

*რეალი:* სესარი, მიჩელ სალგადო (მინამბრესი), ჯერემი, ივან კამპო, კარანკა (სოლარი), ფლავიო (ელგერა), სელადესი, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი (სავიო).

*გოლები:* 0-1 მორიენტესი (46), 1-1 მაკაი (51), 2-1 დიეგო ტრისტანი (72).

## ამხანაგური მატჩები

***უდინეზე – ჩელსი 1-1***

*უდინეზე:* ტურჩი, ბერტოტო, სოტილი, კოლდრუპი, მანფრედინი, მარკოს პაულო (დიასი), გარგო (ბედინი), ელგერა (ალმირონი), პიერი (პინცი), იაკინტა (ძამბონი) მუცი (სოსა).

*ჩელსი:* ბოსნიჩი, გალა, ტერი, დესაი (მელხიოტი), ლე სო, გრონკიაერი (სტანიჩი), ლამპარდი, პეტი (იოკანოვიჩი), ზენდენი (ფორსელი), ძოლა (გუდიონსენი), ჰასელბანკი.



*გოლები:* 1-0 გარგო (10), 1-1 ჰასელბანკი (57)

*სურათზე: დეპორტივო – რეალი. წინა პლანზე – ზინედინ ზიდანი.*

# დიდი, ლამაზი და საიმედო მეკარე

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არაერთ დედაქალაქში ვყოფილვარ... კიევი ერთ-ერთი ულამაზესია მათ შორის, ხოლო კრეშჩატიკი, უკრაინის დედაქალაქის ცენტრალური ქუჩა, ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩაა ულამაზეს ქალაქთა ულამაზეს ქუჩებს შორის.

კიევში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. ალბათ შეუძლებელია ჩახვიდე ამ ქალაქში და კრეშჩატიკზე არ გაისეირნო, არ დატკბე მისი სიმშვენიერით. განსაკუთრებულია კიევის ეს ცენტრალური მაგისტრალი საზეიმო დღეებში. ერთხელ, სწორედ რომ 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესაც მომიწია იქ ყოფნა. — ორი ათეული წლის ცოტა მეტი ხნის წინათ — 1978 წელს.

მეგობრებთან ერთად რესტორანში გამარჯვების დღესასწაული აღვნიშნეთ. საღამო ხანს ერთ-ერთ მეგობართან ერთად ფეხით გავუყევი პროსპექტს. ასე მეგონა მთელი კიევი გამოსულიყო ქუჩაში: ზღვა ხალხს ძლივს იტევდა კრეშჩატიკი — ცეკვავდნენ... მღეროდნენ... დიდებული სანახაობა იყო. წყნარად მივუყვებოდით ქუჩას, ვაკვირდებოდით და აღტაცებას ვერ ვმალავდით შესანიშნავი წარმოდგენის გამო. დარიც რომ ბრწყინვალე იდგა! უცბად, ჩემს წინ ხელიხელჩაკიდებულ ახალგაზრდა, ლამაზ გოგონათა გუნდი აღიმართა, გზა გადამიჭრა და წინ წასვლის საშუალება არ მომცა. როგორც ჩანს, ჩემმა ახალგაზრდულმა ასაკმა (მაშინ 29 წლის გახლდით) აცდუნა ქალიშვილები.

— საიდან ჩამოხვედით? — ღიმილით მკითხა ერთ-ერთმა და საცეკვაოდ გამიწვია. ჩემი მეგობარი უკვე „ჩაეთრია" სხვა ჯგუფს.

— საქართველოდან, ქუთაისიდან — ვუპასუხე მე.

უნდა იცეკვოთ ჩვენთან ერთად! — ღიმილით მომმართა მან. ის იყო, უნდა დავთანხმებულიყავი, რომ ამ დროს ვილაც საშუალო ხნის წარმოსადეგი მამაკაცი მოგვიახლოვდა.

— გაიცანით, ჩემი მამაა — მითხრა „იმ" გოგონამ.

მამაკაცმა ხელი ჩამომართვა და თავისი სახელი, მამის სახელი და გვარი მითხრა.

მეც ჩემი თავი წარვუდგინე, მასაც ვუთხარი რომ საქართველოდან ვარ.

— საქართველოდან?! კარგია: სერგო კოტრიკაძეს თუ იცნობთ?

— სერგო კოტრიკაძეს ვინ არ იცნობს, — ღიმილით ვუთხარი მე, — მთავარია, ვის იცნობს თვითონ სერგო კოტრიკაძე.

ჩემს თანამოსაუბრეს გულიანად გაეცინა.

— ისე, სხვათა შორის, — ვუთხარი მე, — სპეციალობით ინჟინერი გახლავართ (იმ პერიოდში ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი), მაგრამ ამასთანავე ვეწევი ჟურნალისტურ საქმიანობას. რამდენჯერმე მისაუბრია სერგო კოტრიკაძესთან, გაზეთშიც დამიბეჭდია, მაქვს მასთან ერთად გადაღებული რამდენიმე სურათი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე.

ახალგაცნობილს ჩემი პასუხი ძალიან მოეწონა, გაუხარდა კიდეც.

— სუფრასთან გპატიჟობთ, — მითხრა მან, — და იქვე ახლოს საზაფხულო ყაიდის სახელდახელოდ მოწყობილ სასაუზმესაკენ მანიშნა.

გრძელ სუფრას უკვე რამდენიმე ადამიანი შემოსხდომოდა. ჩემთვის, ჩემი მასპინძლისთვის და მისი ქალიშვილისთვისაც სწორედ ამ მაგიდის გაგრძელებაზე მოინახა ადგილები.

ჩემმა მასპინძელმა სამი ბოთლი შამპანური, ხილი და შოკოლადი შეუკვეთა. ირგვლივ ჭეშმარიტად საზეიმო განწყობილება სუფევდა, ეთერში სასიამოვნოდ ილვრებოდა დიმიტრი გნატიუკის, სოფი როტარუს, ლევ ლეშჩენკოს და სხვათა ჰანგები.

ჩემმა მასპინძელმა ჩვენი შეხვედრისა და გაცნობის შემდეგ, დიდი გამარჯვების სადღეგრძელო დალია...

— „მე ახლა 58 წლის უკრაინელი კაცი ვარ, 1920 წელსა ვარ დაბადებული, — დაიწყო მან. ომის მონაწილე გახლავართ, — პირველი დღიდან ბოლომდე ვიბრძოდი ფრონტზე. უკრაინიდან დავიწყე და ბერლინის მისადგომებში დავამთავრე. ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ. კიევის სტადიონზე არც ერთი თამაში არ გამომიტოვებია. ჩვენი გუნდიც გვიმართლებს. აი, უკვე რამდენიმე წელია მოწინავე პოზიციებს არა ვთმობთ. არაერთი ბრწყინვალე საფეხბურთო მატჩის მოწმენი ვართ. კიეველთა შემდეგ თქვენი თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი ვარ. ვეთაყვანებოდი მიხეილ მესხს, სლავა მეტრეველს, ზაურ კალოევს, მურთაზ ხურცილავას. მაგრამ ნუ მიწყენენ ისინი, თუ ვიტყვი, რომ ჩემი და ჩემი თანაქალაქელების ყველაზე დიდი სიმპათია თქვენი შესანიშნავი მეკარისკენ, სერგო კოტრიკაძისკენ იხრება. მე მინახავს ჩვენი ლეგენდარული ნიკოლოზ ტრუსევიჩის თამაში, ჩემს თვალწინ გაიარა ოლეგ მაკაროვის, ვიქტორ ბანიკოვის, ევგენი რუდაკოვის სამაგალითო სპორტულმა კარიერამ, მაგრამ ის, რაც თქვენმა მეკარემ აქ, კიევში 1959 წლის აგვისტოში გააკეთა, ჭეშმარიტად რომ საფეხბურთო გმირობაა."

სუფრასთან დიდხანს შევრჩით. ჩემი მასპინძელი უბადლო გულშემატკივარი გამოდგა. გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა. მრავალი საფეხბურთო მოვლენა და პერიპეტიები გაიხსენა. დამშვიდობებისას დიდი სიყვარულითა და სითბოთი მოიკითხა საქართველო, ქართველი ხალხი, სერგო კოტრიკაძე.

* * *

...სერგო კოტრიკაძე ჯერ კიდევ 1968 წელს გავიცანი, როცა იგი თბილისიდან ქუთაისის „ტორპედოში" გადმოვიდა. მაშინ, მე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი, ხშირად ვსტუმრობდი ტორპედოელთა ბაზას. შესვენებისას თუ მატჩის შემდეგ, ტორპედოელთა გასახდელშიც შევდიოდი. საოცარი იყო, არავინ ჩემს ასეთ ქმედებას მაშინ არ კრძალავდა. იმთავითვე მოვიხიბლე სერგო კოტრიკაძის ადამიანური თვისებებით, უშუალობით. ჩვენი დაახლოება, იქნებ დამეგობრებაც, შედარებით მოგვიანებით მოხდა — 1995 წელს, როცა მე მუშაობა დავიწყე წიგნზე „საუბარი სერგო კოტრიკაძესთან".

ამ პერიოდში კიდევ მრავალგზის დავრწმუნდი მის დიდ ინტელექტში, კაცურ კაცობაში, უსაზღვრო განათლებასა თუ დიდ ერისკაცობაში. ჩვენ ნამდვილად რომ ნაყოფიერად ვიმუშავეთ და ფეხბურთის გულშემატკივრების წინაშე პირნათლად წარვსდექით.



*1993 წელი. სერგო კოტრიკაძე (მარჯვნივ) და ამ სტრიქონების ავტორი*

ვწერ ახლა თბილისის ლეგენდარულ მეკარეზე და თვალწინ ისევ ის კიეველი, სიმპათიური მამაკაცი მიდგას, თავის ულამაზეს გოგონასთან ერთად აღფრთოვანებით რომ საუბრობდა თბილისელთა ფრთებშესხმულ მეკარეზე.

მაინც, რა მოხდა კიევში 1959 წლის 30 აგვისტოს?! მოდით, იმ მატჩის თვითმხილველს, მწერალ მინდია მოსაშვილს მივაპყროთ ყურადღება. თქვენს წინაშეა ნაწყვეტები წიგნიდან „მარადიული დღესასწაული"

„...საკავშირო კატეგორიის მსაჯის მოსკოველ ლუკიანოვის სასტვენის ხმა, და თამაში დაიწყო.

მე ბლოკნოტი და ავტოკალამი მოვიმარჯვე და მატჩის მსვლელობის სტენოგრაფიული ჩაწერისათვის მოვემზადე.

...მაშ ასე, მომაქვს ჩანაწერები ჩემი ბლოკნოტიდან:

ჩვენს საჯარიმოზე იმრავლა კიეველთა ლურჯმა ფერებმა...

ავად დატრიალდა ერთი თბილისელთა კართან...

სამჯერ დაარტყა კარში ტანმაღალმა ლობანოვსკიმ...

ორჯერ თავური დააძგერა ბეჭებგანიერმა ბიბამ...

ორჯერ დაუსხლტა მცველებს სწრაფი გრამატიკოპულო...

შვიდჯერ შეკრა კამარა სერგო კოტრიკაძემ...

შვიდჯერ მოექცა ბურთი მეკარის მარწუხებში...

შვიდჯერ იქუხა ტრიბუნებმა...

შვიდჯერ ყიჟინით წამოდგა სამოცი ათასი კიეველი — სამუდამოდ მოჯადოებული ქართველ ფეხბურთელთა ფრთებშესხმული მეკარის სწორუპოვარი ოსტატობით...

და სადღაც, ჩემს შორიახლო სპორტულმა კომენტატორმა ეროსი მანჯგალაძემ, რომელიც ახლა მატჩის რეპორტაჟი მიჰყავს საქართველოს გულშემატკივრებისთვის, შვიდჯერ ჩასძახა მიკროფონს: „ძვირფასო მეგობრებო, დღეს კოტრიკაძე გადარევს ხალხს".

* * *

...სასტვენის ხმამ თამაში შეაჩერა. რა მოხდა?

მსაჯი დინჯად უახლოვდება „პენალტის" ნიშნულს — თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა თბილისის „დინამოს" კარში!

და მაშინ ყველანი განზე გადგნენ და უკრაინელთა თავდამსხმელი გოლოდეცი და ქართველთა მეკარე კოტრიკაძე ერთმანეთის პირისპირ დატოვეს.

და როცა მძიმე ლოდივით ჩამოწოლილი სიჩუმე მსაჯის სასტვენმა გაკვეთა, ქართველთა მეკარემ კამარა შეკრა და დაბალ კუთხეში მიმავალი ბურთი რაღაც სასწაულებრივად აიღო.

* * *

...და როცა ჩვენები ასპარეზობას 1-2 აგებდნენ, კიეველთა ერთ-ერთი მწვავე იერიშის დროს მსაჯი ლუკიანოვი მეორედ ნიშნავს თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას.

თავი ვეღარ გამოყო შერცხვენილმა გოლოდეცმა. სერგო კოტრიკაძესთან ორთაბრძოლა ამჯერად გრამატიკოპულომ იკისრა.

და მაშინ ყველანი განზე გადგნენ და უკრაინელთა გარემარბი და ქართველთა მეკარე ერთმანეთის პირისპირ დატოვეს.

და როცა მძიმე ლოდივით ჩამოწოლილი სიჩუმე მსაჯის სასტვენის ხმამ გაკვეთა, გრამატიკოპულოს ნაფეხარი ბურთი ტყვიასავით გაფრინდა მარცხენა დაბალ კუთხეში. სერგო კოტრიკაძემ კვლავ მოახდინა სასწაული — ეს „პენალტიც" აიღო. კიევი. 30.08.59 წ."

***სერგო კოტრიკაძე: (ამონაწერი ჩემი წიგნიდან).***

— „ეს მატჩი ყოველმხრივ დასამახსოვრებელია ჩემთვის. საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ გულახდილად გეტყვით: „ეს ჩემი მატჩი იყო". საქმე მარტო პენალტების აღებაში არაა. მთავარია, რომ ამ შეხვედრაში უამრავი „მკვდარი" ბურთი ავიღე. კიეველები შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ, მაგრამ ჩვენს კართან ყველაფერი ეფუშებოდათ. იმხანად უკრაინა დასავლეთ უკრაინის შემოერთების ოცი წლისთავს ზეიმობდა, ამიტომ კიეველებს განწყობილება საზეიმო ჰქონდათ და გამარჯვებისათვის ყველა პირობა იყო შექმნილი, მაგრამ ჩვენი გუნდი ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. მატჩი ფრედ — 2-2 დამთავრდა. პირველი პენალტი გოლოდეცმა დაარტყა, სწორად ამოვიცანი დარტყმის მიმართულება, ინტუიციამაც მიკარნახა, რომ იგი ბურთს ჩემგან მარჯვნივ გაგზავნიდა, დაარტყა და... ბურთს ნახტომში, კარის მარჯვენა კუთხეში მივწვდი და გავაჩერე. მეორე პენალტი გრამატიკოპულომ დაარტყა. ვოინოვს უთხრეს, მაგრამ უარი თქვა. როცა გრამატიკოპულო დასარტყმელად ემზადებოდა, მე შევძახე: იურა, არაფერი გამოგივა, ბურთს ვერ შეაგდებ-მეთქი. გარამტიკოპულოს მანამდე ვიცნობდი — იგი ხომ სოხუმიდანაა წარმოშობით. ის პენალტიც ავიღე. როცა თბილისში დავბრუნდი, ჩემმა ძმამ მომასმენინა რადიორეპორტაჟის ჩანაწერი, სადაც ეროსი ამბობს: „დღეს კოტრიკაძე გადარევს ხალხს". მართლაც კარგი თამაში იყო".

თბილისელთა ბრწყინვალე მეკარის ბიოგრაფიაშია კიდევ ერთი მატჩი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ესაა ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის (და არა მარტო მათთვის) კარგად ცნობილი შეხვედრა მოსკოვში თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის საბჭოთა კავშირის თასის ფინალში, 1960 წლის 31 ოქტომბერს. ახლა კოტე მახარაძეს, ამ მატჩის კომენტატორს მოვუსმინოთ. ნაწყვეტები წიგნიდან „პირველი რეპორტაჟი უმიკროფონოდ":

„...3-4 წუთის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ყველაფერს გადაწყვეტდა თბილისელთა დაცვის სიმტკიცე და სერგო კოტრიკაძის ნერვები. ს. კოტრიკაძემ კი ითამაშა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი და პირველ 15 წუთში იმდენჯერ იხსნა კარი, რომ ერთნიშნა რიცხვი ალბათ ამას ვერ გამოხატავდა.

* * *

...შეტევა შეტევას ცვლიდა. პაუზებში მეზობელ ჯიხურიდან მესმოდა ვადიმ სინიავსკის ხმა. იგი ხოტბას ასხამდა ს. კოტრიკაძეს და ასეთი დეტალიც კი შენიშნა — მოსკოველი მეკარე ა. პოლიკანოვი რეიტუზში გამოწყობილა, მზიური საქართველოს შვილი კოტრიკაძე კი მოსკოვის ყინვას არ შეუშინდა და ტრუსებით გამოვიდა მინდორზეო.

* * *

...ტორპედოელთა შეტევები კი გრძელდებოდა. აი, ბატანოვმა და გუსაროვმა ოდნავ მარცხნივ გადაინაცვლეს, 4-5 სვლიანი კომბინაცია ერთი შეხებით სწრაფ ტემპში გაითამაშეს და გენადი გუსაროვი ს. კოტრიკაძის პირისპირ გავიდა. მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა უკვე შემართა ფეხი, როდესაც თბილისელთა მეკარე მისკენ დაიძრა... კარი ცარიელია. მეკარესა და თავდამსხმელს შორის მანძილი რამდენიმე მეტრია, გუსაროვის შემართული ფეხის დაშვებას კი წამის მეათედი თუ დასჭირდება და...

ს. კოტრიკაძე ალბათ სიამოვნებით ისმენდა ტრიბუნებიდან მოხეთქილ ოვაციას.

— კოტრიკაძე დღეს პირდაპირ იაშინს ეჯიბრება, — ჩუმად ჩაილაპარაკა ჩემს უკან მჯდომმა ნ. ოზეროვმა.

* * *

...ს. კოტრიკაძე კი, თითქმის ბურთს კარის ყველა კუნჭული გადაუკეტაო, სულ უფრო შედიოდა აზარტში, სითამამე ემატებოდა."

სერგო კოტრიკაძემ 258 მატჩი ჩაატარა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ამას გარდა, მან მონაწილეობა მიიღო უამრავ სათასო შეხვედრაში, ამხანაგურ მატჩებში, ოლიმპიური ნაკრების მეკარის რანგში მონაწილეობდა ბევრ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ მატჩებში. 1962 წელს იყო ჟურნალ „ოგონიოკის" პრიზის მფლობელი — სეზონის საუკეთესო მეკარე გახდა.

ყველა მატჩში სერგო კოტრიკაძე მობილიზებული, მონდომებული, ენთუზიაზმით, ბრძოლამოწყურებული გამოდიოდა. მაყურებელი აღფრთოვანებული რჩებოდა ჩვენი მეკარის მაღალი ხელოვნების, მისი რეაქციის, მისი არტისტიზმის, ლამაზი და საიმედო თამაშის გამო.

ჩემს ხელთაა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 39 წლის წინანდელი (13.07.62) თითქმის გაყვითლებული ფურცლები. იგი იმავე მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის დინამოელთა შეხვედრას ეძღვნება. ამჯერად, საუბარია ამ გუნდების მერვედფინალურ მატჩზე, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში, რომელიც 1962 წლის 11 ივლისს გაიმართა მოსკოვში და დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 2-0. ბორის სვეტლანოვის ფოტოზე აღბეჭდილია კამარაშეკრული სერგო კოტრიკაძე. ფოტოსურათს ასეთი წარწერა ახლავს:

„სამხრეთელთაგან არავის არა აქვს უფლება თავიანთ წარუმატებლობაში ბრალი დასდოს თავიანთ მეკარეს ს. კოტრიკაძეს. იგი ნამდვილად იყო ამ მატჩის გმირი."

9 აგვისტოს სერგო კოტრიკაძე 65 წლის გახდა. სულითა და გულით ვულოცავთ მას დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ. ამ რამდენიმე დღის წინათ მან დიდი სულიერი ტრავმა მიიღო — თითქმის ერთდროულად მიაბარა მიწას უსაყვარლესი მეუღლე და სიდედრი. მთელმა საქართველომ გაიზიარა მისი მწუხარება. სულის სიმხნევე არ მოჰკლებოდეს საქართველოს სახელოვან ადამიანს.

**ნუგზარ მჭედლიშვილი**



## პროფესიული კრივი

# ტაისონი 9 სექტემბერს იჩხუბებს




მაიკ ტაისონისა და დანიელი მოკრივის ბრაინ ნილსენის ორთაბრძოლის თარიღი საბოლოოდ დადგინდა – მიმდინარე წლის 9 სექტემბერი. ეს დაადასტურა შეხვედრის ორგანიზატორმა ნილსენის მხრიდან მოგენს პალემ.

„მე უკვე მივიღე კონტრაქტი ტაისონის ხელმოწერით“ – თქვა პალემ, რომელმაც, ამასთან, უარი განაცხადა დაესახელებინა გარიგების თანხა და მხოლოდ ის დაადასტურა, რომ ტაისონი „ყველაზე ძვირადღირებული“ მოკრივეა მათ შორის, ვისთანაც მას ოდესმე გაუფორმებია კონტრაქტი.

ჯერ იგეგმებოდა, რომ ნილსენი შეხვდებოდა ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ხასიმ რახმანს, მაგრამ ივნისში სასამართლომ დაადგინა, რომ უახლოეს წელიწადნახევარში რახმანს უფლება არ აქვს ვინმეს შეხვდეს რინგზე ლენოქს ლუისის გარდა, რომელსაც მან ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა წლეულს აპრილში. ნილსენს პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 63 ბრძოლა და მოიგო – 62. ტაისონმა 48 ბრძოლა მოიგო და სამჯერ დამარცხდა.

## ჰოკეი

# მულტიმილიონერები

ნხლ-ის მაღალხელფასიანი მოთამაშეები არიან: იარომირ იაგრი (ვაშინგტონი) 10 033 333 დოლარი წელიწადში, პოლ კარია (ანაჰაიმი) 10 000 000, პეტერ ფორსბერგი (კოლორადო) 10 000 000, ჯო საკიკი (კოლორადო) 9 832 727, რობ ბლეიკი (კოლორადო) 9 285 194, დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 9 000 000, პაველ ბურე (ფლორიდა) 9 000 000, ჯონ ლეკერი (ფილადელფია) 9 000 000, დაგ ვაიტი 9 000 000, ჯერემი რენიკი (ფილადელფია) 8 500 000, ტემისელიანე (სან ხოსე) 8 000 000, სტივ აირზერმანი (დეტროიტი) 8 000 000, ალექსეი იაშინი (აილენდერსი) 8 000 000.

## ყველას უყვარს

ჩოგბურთი მართლაც რომ ყველას უყვარს. ამას წინათ, ლოსანჯელესის საერთაშორისო ტურნირს ესწრებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ლუისი, კინომსახიობი ჯიმ კერი და შეუდარებელი არნოლდ შვარცენეგერი, რომელიც გერმანელ ტომი ჰაასის პირადი სტუმარი იყო.







# მატჩი ბეკერი — მაკინროუ

აშშ-ს ღია ჩემპიონატზე, ფლეშინ მიდოუზე ადრინდელი გამარჯვებულები, გერმანელი ბორის ბეკერი და ამერიკელი ჯონ მაკინროი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ 8 სექტემბერს ნიუ-იორკში საჩვენებელ მატჩს გამართავენ. ამ ორთაბრძოლის მომგები 100 ათას დოლარს მიიღებს.

### ვტა

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5577. 2. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 4519. 3. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4460. 4. ვინუს უილიამსი (აშშ) — 4342. 5. კიმ კლისტერსი (ბელგია) — 2851. 6. ჟიუსტინ ზნინი (ბელგია) — 2667. 7. ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 2429. 8. სერენა უილიამსი (აშშ) — 2301. 9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 2047. 10. მონიკა სელეში (აშშ) — 2042. 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 1920.

## ჯენიფერ კაპრიატი პირველობაზე ოცნებობს

ჯენიფერ კაპრიატიმ „რეიტინგ-ლისტში“ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამე კი ვენუს უილიამსს „დაუთმო“.

— ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე ამის შესახებ. ძალიან ძნელი გზა გავიარე, სანამ ასეთ წარმატებას მივაღწევდი. ეტყობა, რამდენიმე ხნის განმავლობაში, უბრალოდ, დავტკბები ამ წარმატებით და ამით დავკმაყოფილდები, შემდეგ კი წინ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმაზე ვიფიქრებ.

საინტერესოა, რომ „რეიტინგ-ლისტში“ პირველ ადგილზე მყოფ მარტინა ჰინგისს 1999 წლის იანვრის შემდეგ აღარ მოუგია „დიდი მუზარადის“ არც ერთი ტურნირი. პირველ ადგილს იგი იმით ინარჩუნებს, რომ მონაწილეობს გაცილებით მეტ ტურნირში, ვიდრე პირველი ხუთეულის ნებისმიერი სხვა ჩოგბურთელი.

— ვიცი, რომ სიაში პირველ ადგილზე გადასასვლელად საჭიროა ნებისმიერ ტურნირში წარმატებით თამაში. ბოლო ხანებში მე უკეთ ვთამაშობდი, ვიდრე ადრე და მგონია, კიდევ მაქვს გამოუყენებელი რეზერვი. შევეცდები დიდი შეუპოვრობით ვივარჯიშო და ვფიქრობ, ეს ადრე თუ გვიან, სათანადო შედეგსაც მოიტანს.

## სარეიტინგო „რბოლა“ გრძელდება

### ატპ

1. ანდრე აგასი (აშშ) — 610. 2. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 570. 3. ხუან კარლოს ფერეირა (ესპანეთი) — 530. 4. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 407. 5. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 390. 6. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — 359. 7. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — 294. 8. ტიმ ჰენდენი (დიდი ბრიტანეთი) — 285. 9. ალექს კორეტჰა (ესპანეთი) — 284. 10. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 273. 11. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 243.

## იუმორი



**ფინიშის** შემდეგ სპორტსმენმა ცრემლები ვერ შეიკავა... მოუზომლად ძლიერად გაარტყა მწვრთნელმა.

**საინტერესოა:** შავკანიანები ძალიან ძლიერები არიან რბენაში — თეთრკანიანები — სროლაში!

**კომენტატორი:** ძალიან შთამბეჭდავად იასპარეზეს სინქრონულ ცურვაში ჩვენმა გოგონებმა. იაგოდკინა დაიხრჩო, მეწყვილე არ დაიბნა და ისიც დაიხრჩო... სინქრონისათვის.

**ფეხბურთის** მატჩი დამთავრდა გამანადგურებელი ანგარიშით. წაგებული გუნდის კაპიტანი მხურვალედ ართმევს ხელს მსაჯს და ეუბნება:

— ეს იყო უბრწყინვალესი მატჩი.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — გაუკვირდა მსაჯს.

— რა თქმა უნდა, დასანანია, რომ თქვენ არ გინახავთ.

**სულ** რაღაც ოთხი გაკვეთილის შემდეგ კარატისტი სამი სანტიმეტრის სისქის ფიცარს ტეხდა... თაბაშირში ჩასმული ხელით.

**ქ. თბილისის სპორტის სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ფეხბურთის ვეტერანთა ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენლის, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ფეხბურთელის, შესანიშნავი პიროვნების**

**გრიგოლ გაგუას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ვლადიმერ ელოშვილი, მიხეილ ჯოჯუა, გაიოზ ჯეჯელავა, ასლან ხარბედია, ვლადიმერ ბარქაია, ბორის სიჭინავა, გურამ პეტრიაშვილი, ლევან ჟორდანია, ილია დათუნაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ბესო მჭედლიშვილი, ოთარ რუხაძე, რამაზ ურუშაძე, ზორბეგ ებრალიძე, ფირუზ კანთელაძე, ჯემალ ზეინკლიშვილი, გივი ხოჭოლავა, კარლო ყრუაშვილი, ილია მჭედლიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელისა და შემდგომში ფეხბურთელთა თაობების აღმზრდელის, ქართული ფეხბურთის სიამაყის**

**გრიგოლ გაგუას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას უცხადებს ოჯახს და საქართველოს საფეხბურთო სამყაროს**

**გრიგოლ გაგუას**

**გარდაცვალების გამო.**

**თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტსკოლა, პირადად ამ სკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი ღრმა სამძიმარს უცხადებენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონალური მართვისა და მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსს ნარგიზა მესხს ბიძაშვილის**

**ნიბლია მესხის**

**გარდაცვალების გამო.**

**მარინე თარხნიშვილი, ზაზა დოლიძე, ამირან ზუხბაია, თემურ ლორთქიფანიძე, მერაბ მეტრეველი, თენგიზ გაჩეჩილაძე თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონალური მართვისა და მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსს ნარგიზა მესხს ბიძაშვილის**

**ნიბლია მესხის**

**გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა ჭიათურაში, სოფ. საირხეში 14 აგვისტოს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




### 14 აგვისტო, შაბათი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოლიმპიური დღეები ესპანეთში (19.15), ***ევრიკა,*** „მსოფლიო სპორტი“ (10,45, 20.00), ***ESPN.*** სპორტის სიახლენი (19.30, 22.30, 01.30, 04.30), ***EUROSPORT.*** ველორბოლა. მსოფლიო თასი (14.30), ფეხბურთი. ერთი მსოფლიო – ერთი თასი (15.30), მოტორბოლა. მსოფლიო პირველობა (2.15), ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივი: მსოფლიო ჩემპიონატი-98. იტალია – ჩილი (13.15). გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი, „რეალი“ – „ბავარია“ (16.00), ესპანეთის ჩემპიონატი „სელტა“ – „ვალენსია“ (17.45), მ/ჩ-98. ესპანეთი – ნიგერია (18.50), ჩ/ლ. ნახევარფინალი „ლიდსი“ – „ვალენსია“ (22.35). ***НТВ плюс спорт.*** კიკბოქსინგი (0.00).

### 15 აგვისტო, ოთხშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.30), ***ESPN.*** სპორტის სიახლენი (19.30, 22.30, 01.30, 02.30), ***EUROSPORT.*** მსოფლიო ჩემპიონატი (15.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გზით – 2002 (2.00), ევროსპორტის სიახლენი (1.45, 4.15), ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივი: მ/ჩ-98. ესპანეთი – ნიგერია (13.15), ჩ/ლ. ნახევარფინალი „რეალი“ – „ბავარია“ (15.00), იტალიის ჩემპიონატი. „ინტერი“ – „მილანი“ (17.15), ესპანეთის ჩემპიონატი. „დეპორტივო“ – „ვილიარეალი“ (19.40), მ/ჩ-98. გერმანია – იუგოსლავია (21.25), ჩ/ლ ნახევარფინალი. „ბავარია“ – „რეალი“ (23.10), ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი (0.05).

### 16 აგვისტო, ხუთშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***ESPN.*** სპორტის სიახლენი (19.30, 22.30, 01.30, 04.30). ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (20.00, 04.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გზით-2002 (16.00, 18.30, 21.00, 1.00), ევროსპორტის სიახლენი (2.00, 4.15) ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივი: მ/ჩ-98. გერმანია– იუგოსლავია (13.15), ჩ/ლ. ნახევარფინალი. „ბავარია“ – „რეალი“ (15.00), ესპანეთის ჩემპიონატი. „დეპორტივო“ – „ვილია რეალი“ (17.15). ჩ/ლ. ნახევარფინალი. „ვალენსია“ – „ლიდსი“ (19.20), მ/ჩ-98. ბრაზილია – ნორვეგია (22.40), ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი (17.05), კატერებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00).



# კროსვორდი №63

**თარაზულად:** 6. კაცი არხეინი, უნაღვლო და... 7. ვეშაპი, ურჩხული ანუ... 8. ქართული ჟურნალი, 10. საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ეროვნება, 11. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში, 13. „ინტერის“ ფრანგი ლეგიონერი, 14. ქართული ისტორიული ძეგლი თურქეთში, 17. ძველი რომის იმპერატორთა ტიტული, 18. კვების გარკვეული რეჟიმი, 20. ძველი ინდური ფილმი ბაიჯუ... 21. მშვილდით სასროლი.

**შვეულად:** 1. ვეტერანი დინამოელი, ამჟამად ფეხბურთში საქართველოს ერთ-ერთი ნაკრების მწვრთნელი, 2. სათევზაო ხელსაწყოს ნაწილი, 3. გაფრთხილება ძიუდოში, 4. ძვირფასი მინა, რომლითაც სპორტული პრიზებიც მზადდება, 5. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 9. მძლეოსნობის სახეობა, 12. ცნობილი რუსი ძალოსანი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, 15. ნბა-ს საკალათბურთო გუნდი, 16. საჭიდაო ინვენტარი, 19. ქართული დასახლება ბამზე ....გრუზინსკაია.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

**1. მd3!**

**1. ...მფ:d3 2. 0-0-0X (როქით).**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.